იანვარი
1934 წ.
№ 97

დამოუკიდებელი საქართველო

La Géorgie
Indépendante
Revue mensuelle
JANVIER
1934—№ 97

საქართველოს პოლიტიკური პარტიების ორგანო.

აბელ შევალე



გარდაიცვალა საქართველოს დიდი მეგობარი და საფრანგეთის დამსახურებული დიპლომატი და ნიჭიერი მწერალი აბელ შევალე.

დაბადებული ფრანგ პროტესტანტის ოჯახში ოთხ ივლისს 1868 წელს. მაღალ განათლებული და უნივერსიტეტის დოცენტი, აბელ შევალე 1893-1898 წ.წ. პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა ეგვიპტეში. 1898-1904 წ.წ ის განაგრძობდა ამ მოღვაწეობას პარიზში და იმავე დროს თანამშრომლობდა დიდ გაზეთ «ტან»-ში, სადაც ის ათავსებდა მეთაურებს საგარეო პოლიტიკაზე, რომელთა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობდა მისი ნაწერები ინგლისის და საზოგადოთ ანგლო საქსონურ პოლიტიკაზე. ამით დაინტერესებულმა საგარეო საქმეთა მინისტრმა დელკასემ 1905 წელს დანიშნა აბელ შევალე გენერალურ კონსულად პრეტორიაში (სამხრეთ აფრიკაში) და 1910 წ. ის მიიწვიეს თვით საგარეო საქმეთა სამინისტროში, როგორც გამგე ამერიკის განყოფილებისა. 1914 წ. აბელ შევალე დანიშნულ იქნა საფრანგეთის სრულუფლებიან ელჩად ნორვეგიის დედა-ქალაქში ოსლოში და მთელი დიდი ომი ამ საპასუხისმგებლო სტრატეგიულ ადგილზედ გაატარა. 1919-1920 წ.წ. აბელ შევალე იყო საფრანგეთის წარმომადგენელი აღმოსავლეთ პრუსიაში და 1920-1921 წ.წ. ის დაინიშნა საფრანგეთის უმაღლეს კომისრად კავკასიაში და ცხოვრობდა ტფილისში, სანამ ის იძულებული არ გახადა მოსკოვის ვერაგულმა დავდასხმამ, ეროვნულ მთავრობასთან ერთათ, დაეტოვებინა იგი. ამით დაამთავრა აბელ შევალემ თავისი მრავალფეროვანი და ნაყოფიერი დიპლომატიური კარიერა.

მაგრამ თვით სამსახურის დროსაც და განსაკუთრები მის შემდეგ აბელ შევალეს არ გაუგდია ხელიდან თავისი მადლიანი კალამი. როგორც ღრმა მცოდნე ინგლისურ ძველ და ახალ მწერლობისა, ის აქვეყნებდა შესანიშნავ გამოკვლევებს, როგორიცაა: დედოფალი ვიქტორია, ჩვენი დროის ინგლისური რომანი, შექსპირის ხანა და სხ. ამასთანავე ის აქვეყნებდა ინგლის-ამერიკის დიდ გამოცემებში გამოკვლევებს ფრანგულ მწერლობაზე, კითხულობდა სამეცნიერო მოხსენებებს ლონდონში და იყო ერთ-ერთი ბურჯი ფრანგთა და ანგლო-საქსონების ინტელექტუალურ დაახლოებისა. განსვენებული იყო დაჯილდოებული საფრანგეთის სამეცნიერო აკადემიის მიერ. ჰქონდა მრავალი დეკორაციები როგორც თავის, ისე სხვა ქვეყნების.

აბელ შევალეს გვერდში უდგა მისი მეუღლე და

ეროვნული ბიბლიოთეკა

საუკეთესო მეგობარი ქ-ნი მარგალიტა, ქალი ცნობილ მეცნიერისა და მწერლისა ოგიუსტ საბატიესი. ვისაც უნახავს ახლო ამ ორი დაუღლებულ მეგობრის ცხოვრება, ის მიხვდება, რომ გამოქვეყნებული ნაწერები იყო ნაყოფი ორთავეს ორგანიულ ნაფიქრ და გაზიარებულ შრომისა. დამატკბობელი იყო მათთან მუსაიფი, რომელშიც უალრესათ შნოიანი ფრანგული ფორმა და ღრმა შინაარსი ერთმანეთს ეჯიბრებოდა. ამ ორიოდე წლის წინეთ პარიზს ეწვია ინგლისის დიდი მწერალი უელსი და მან ინტიმურ ლიტერატურულ მუსაიფისთვის ფრანგ მწერლებთან აბელ შევალეს ოჯახი აირჩია, სადაც მასპინძელი ბრწყინავდა თავის ცოდნითა და მოსწრებული სიტყვა-პასუხით ორთავე ენაზე, რაიცა კიდეც აღნიშნა დიდმა პრესამ. აბელ შევალე და მისი მეუღლე იტყოდენ ნახევრათ ხუმრობით, რომ ისინი ჰუგენოტების შთამომავალნი არიან, და, მართლაც, ისინი, თითქო მემკვიდრეობით, მემარცხენე იყვნენ პოლიტიკაში, თუმცა არც ერთ პარტიას არ ეკუთვნოდენ.

საკმარისი იყო ერთხელ მაინც თვალი გადაგევლოთ აბელ შევალეს პატარა სახლისთვის საფრანგეთის ერთ-ერთ კეკლუც სოფელში (შანსეი), მის გარეგნულ და განსაკუთრებით შიგნით მორთულობაზე, რომ მაშინვე გეგრძნოთ მასპინძლების დიდი გემოვნება და ორიგინალობა. ყოველ ზაფხულს იქ მიისწრაფოდენ ორივენი დასასვენებლათ საკუთარ პატარა ავტომობილში, რომელსაც ხან ერთი უჯდა რულთან, ხან მეორე. მაგრამ ამ ზამთარს ის ვერ დაბრუნდა პარიზში, თითქო სურდა თავისი უკანასკნელი დღეები შანსეიში დაელია, რაიცა კიდეც აუხდა და იქვე მიაბარეს მიწას სადა და გულის ამტოკებელი სიტყვებით ერთ გადაშლილ გორაკზედ. სოფლელები და ამხანაგები დასტიროდენ მათ საყვარელ მერს და ფრიად იშვიათ ფრანგს და მოქალაქეს.

ქართველი ერი იგრძნობს, თუ ვინ დაკარგა მან აბელ შევალეში, როცა გადიშლება მის წინ მთელის სიგრძე-სიგანით განსვენებულის მოღვაწეობა ტფილისში და განსაკუთრებით საქართველოს უბედურობის შემდეგ. სწორეთ ის გამოუძღვა გახიზნულ ეროვნულ მთავრობას საფრანგეთში, რომელიც მრავალ სხვა ქართველთა მეორე სამშობლოდ იქცა. ის დაუზარებლათ მუშაობდა სიტყვით და კალმით საქართველოს აღდგენისთვის და ღრმათ სწამდა მისი მომავალი. მან დაარსა, სხვ. შორის, საქართველოს მეგობართა საზოგადოება პარიზში. მაღალბუნებოვანი და სპეტაკი აბელ შევალე ვერ ურიგდებოდა «ამ ქვეყნის მშვენიერ წალკოტის», როგორც ის ეძახოდა საქართველოს, ბარბაროსების მიერ დაქცევას, ის იტანჯებოდა ქართველი ერის ტანჯვით, ჭირსა და ლხინში მასთან იყო სულიერათ. მას განზრახული ჰქონდა ერთი ორიგინალური შრომის დაწერა საქართველოზე და ამისათვის მასალას აგროვებდა, მაგრამ მარტო მისი დაკვირვებანი ადგილობრივ ბუნებაზე და ხალხზე, მათ გარეგნობაზე და ხასიათზე, ათასნაირ ნუანსებზე, რომელნიც გაკვირვებას გვრიდნენ მსმენელთ, სრულიად საკმარისი იყო ამ შრომისათვის, თუ არა ავტორის თავდაბლობა და პასუხისმგებლობის გრძნობა...

აბელ შევალეს მეორე სურვილიც არ აუხდა: თავის საყვარელ მეუღლით თავისუფალ საქართველოში ჩასვლა. ის იტყოდა ხოლმე, ჩემი დიპლომატიური კარიერა საქართველოთი გავათავეო, მაგრამ მისმა მახლობლებმა ვიცოდით, ტფილისიდან დაბრუნებული ჯერ კიდევ ჯიელი აბელ შევალე გახდა მსხვერპლი საქართველოს უბედურობისა! ამაზე ლაპარაკის დრო ჯერ არ დამდგარა.

მუხლი მოვიდრიკოთ მის ცხედრის წინაშე და ჩვენი უღრმესი თანაგრძნობა მიუძღვნათ ქ-ბ მარგალიტა შევალეს, მის ახალგაზდა მეცნიერ ვაჟს და ორ მშვენიერ პატარა შვილი-შვილებს, განმგრძობთ აბელ შევალეს დიდი საქმისა.

«ამ ქვეყნის მშვენიერი წალკოტი» ფიანდაზად დაეგება განსვენებულს და ქართველი ერი, მხცოვანი, მაგრამ მუდამ ახალგაზდა, ერთგული თავის რაინდულ ტრადიციებისა, არ დაივიწყებს თავის დიდ მეგობარს აბელ შევალეს.

1933 წელი

გასულმა წელმა ვერ გადასჭრა ვერც ერთი მწვავე მსოფლიო კითხვა, რომელიც მას დაუტოვა 1932 წელმა. პირიქით, ისინი უფრო აიწეწენ, გართულდენ, იქცენ ნამდვილ გორდიუსის კვანძად, რომლის მშვიდობიანი გახსნა თითქმის უიმედოთ არის მიჩნეული.

ამის დასამტკიცებლათ საკმარისია მოვიტანოთ ორიოდე საყოველთაოთ ცნობილი მაგალითი. ლონდონის მსოფლიო კონფერენციას მიზნად ჰქონდა დასახული მძვინვარე ეკონომიურ და ფინანსიურ კრიზისის საერთო ძალით დაძლევა, მაგრამ ვერ მოასწრეს კითხვების უბრალო დასმა, მაშინვე აღმოჩნდა ქვეყნების და თვით კონტინენტების ისეთი ურთიერთი წინააღმდეგობა, რომ კონფერენცია «გადაიდო» ან უკეთ—დაიშალა. არც ევენევის განიარაღების

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონფერენციას ხვდა უკეთესი ბედი: ორი წლის ნაცოდვილევი მუშაობა ამაოთ ჩატარდა. სახელი გაუტყდა ერთა ლიგასაც, იაპონიის შემდეგ მას ჩამოშორდა გერმანია და, მაშასადამე, შვიდი დიდი სახელმწიფოდან ოთხი მის გარეთ არიან. კითხვაა დასმული ერთა ლიგის პაქტის «რეფორმისა», ე. ი. მისი ფარატინა ქაღალდად ქცევისა.

სამაგიეროთ დიდ პატივშია თვითეულ სახელმწიფოს საკუთარ საზღვრებში დახევა, საკუთარ ძალებზედ დამყარება. რაც შეიძლება მაღალი საბაჟო გალავანი, რაც შეიძლება მეტი შეიარაღება—აი მისწრაფება თვითეულისა და ყველასი, სულ ერთია, კანონიერია ეს თუ უკანონო.

ცხადია, ყველა გრძნობს, რომ ეკონომიის და პოლიტიკის ასეთი შეტრიალება არავის უქადის ბედნიერებას, პირიქით, სწორეთ მას შეუძლია გამოიწვიოს საშინელი კატასტროფა, რომელიც ქვას ქვაზედ არ დასტოვებს და კაცობრიობას პირველყოფილ მდგომარეობას დაუბრუნებს. ეს ნათლათ მოასწავებს, რომ არსებული წესწყობილება და მისი მესვეურნი ვერ სდგანან მომენტის სიმაღლეზედ, ვერ გამოიჩინეს უნარი და ვერც საკმაო უანგარობა, რომ ეროვნულ საზღვრებში დაუძლეველნი სიძნელენი საერთაშორისო ნიადაგზედ ეძლიათ. აქედან სოციალ-პოლიტიკური კრიზისი თვითეულ ქვეყანაში და სასოწარკვეთილი ცდა მასთან შებრძოლებისა.

თუ როგორია მეთოდი ამ შებრძოლებისა, გერმანიამ დაგვანახა შარშან. ხალხის უმრავლესობამ ზურგი შეაქცია ვაიმარის რესპუბლიკას და თავისი სვე-ბედი დაუგვირგვინებელ მეფეს—ჰიტლერს ჩააბარა. უკანასკნელი, ნაციონალიზმის და სოციალიზმის სახელით, სპობს ძველ პარტიებს და მოქალაქობრივ თავისუფლებას და ცდილობს სამხედრო წესით ქვეყნის ეკონომიის გარდაქმნას. სანიმუშოთ ჰიტლერმა დუჩეს გეგმა აიღო: სახელმწიფოს კორპორატიულათ აგება და სამხედრო დისციპლინა, სადაც ერთია მბრძანებელი, ხოლო დანარჩენები—ამსრულებელნი.

თქვენ შეგიძლიათ მოიწონოთ ან არ მოიწონოთ ეს მეთოდი, ერთი მაინც უნდა აღიაროთ: როგორც ნაზები, ისე ფაშისტები ბრძოლას უცხადებენ თანამედროვე კაპიტალისტურ წესწყობილებას, უნდათ ის სხვა წესწყობილებით შესცვალონ, პირველნი სოციალიზმს ეძახიან მას, თუმცა მასში არ გულისხმობენ კერძო საკუთრების მოსპობას, და აწვებიან, როგორც მეორენი, სახელმწიფოს ყოვლადშემძლეობას, ის უნდა გახდეს ყველაფერი, ადამიანი არაფერი, ანუ მისი ყმა.

აქედან სულაც არაა გასაკვირი, თუ სოციალისტური ინტერნაციონალი აცხადებს სოციალიზმი წეს-რიგში სდგასო. რასაკვირველია, ეს სოციალიზმი სხვაა და მისი მიმდევარნი, სოციალდემოკრატები, თითქო მიწიდან აღგავეს გერმანიაში, ისე როგორც იტალიაში 1922 წელს. მაგრამ ჩვენ ამ ბრძოლას და მის შორეულ პერსპექტივებს არ ვეხებით, აღვნიშნავთ მხოლოდ, როგორც გამარჯვებულნი ამ დროებით, ისე დამარცხებულნი უკმაყოფილო არიან დღევანდელი რეჟიმით და ლამობენ მის გარდაქმნას, ერთნი დიქტატორული, მეორენი დემოკრატიული გზით.

აქ იჩენს თავს ეგრ. წოდ. ნეო-სოციალიზმი, რომელიც აცხადებს: დემოკრატიული სახელმწიფო სულაც არ ნიშნავს სუსტ სახელმწიფოს, პირიქით, ის უნდა იყოს მაგარი და მტკიცე, რომ იგივე არ მოგვივიდეს, რაც ჩვენს თანამოაზრეთ იტალიასა და გერმანიაში. ვინაიდან კაპიტალისტები ეროვნულ საზღვრებში იხევენ—ამბობენ ნეო-სოციალისტები—, ჩვენც უნდა დავიხიოთ და უნდა დავისახოთ სამი ამოცანა: ხელისუფლება, წესიერება და ერი. სოციალიზმი ჩვენი მიზანია, მართალია—განაგრძობენ ისინი—, მაგრამ, სანამ მას მივაღწევდეთ, საჭიროა კიდევ დღევანდელ პირობებში განვახორციელოთ აუცილებელი რეფორმები და შევქმნათ ერთგვარი გარდამავალი რეჟიმი, რომელიც არც კაპიტალიზმი იქნება და არც სოციალიზმი. მხოლოდ ასეთი მეთოდით შევძლებთ ჩვენ მოვიზიდოთ არა მარტო მუშები, არამედ წვრილი მესაკუთრენიც, ე. ი. ყველა «ანტიკაპიტალისტები», რომელნიც უამისოთ უთუოთ ფაშისტებს მიეკედლებიან.

ფრიად საინტერესოა, რომ ნეო-სოციალიზმის იდეის განხორციელება თავის პრაქტიკულ გეგმად დაისახა პატარა ქვეყნის—ბელგიის მუშათა პარტიამ. მან მიიღო ანრი დე მანის «სამუშაო გეგმა», რომელიც უპირველესათ მოითხოვს კრედიტის ნაციონალიზაციას და ამ მიზნით ხელისუფლების, სხვა პარტიებთან გაუნაწილებლათ, მუშათა პარტიის მიერ ხელში ჩაგდებას ლეგალური გზით, ე. ი. საყოველთაო არჩევნებით.

მაგრამ რაც ევროპაში მასიური ბრძოლით და თეორიული წინასწარი მომზადებით წარმოებს, იგივე ამერიკასა და აზიაში უბრძოლველათ და მოუმზადებლათ მეორდება. ეხლაც ყველას გვახსოვს, რა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ამერიკის შეერთებულ შტატების ახალ პრეზიდენტ რუზველტის ეგრ. წოდ. «აღდგენის აქტმა». მსოფლიოს მთელი ბურჟუაზია სახტათ დარჩა და მისი პრესა მტრულათ შე-

ხვდა ისეთ რევოლუციურ ზომებს, როგორიცაა სამუშაო დღის დაკლება და ხელფასის აწევა ერთსა და იმავე დროს. რუზველტის «ექსპერიმენტი» გრძელდება და კონგრესი მას მოიწონებს ალბათ, რაიცა მოასწავებს ერთგვარ ეკონომიურ დიქტატურას, ან კიდევ économic dirigée, როგორც მას ევროპაში ეძახიან.

ეკონომიური და ფინანსიური კრიზისი არანაკლებია იაპონიაში, ვინემ ამერიკაში, მაგრამ ზომები იქ სხვა ხასიათისაა. ჩვენ ვართ აზიაში და იქ კი დიქტატურა სამხედრო ხასიათს იღებს ბუნებრივათ. იაპონია ზედმიწევნით დაწინაურებულია ყოველ მხრივ, მისი იაფი საქონელი დემპინგისავით მოქმედებს არა მარტო აზიაში, თვით ევროპა-ამერიკაშიც და იწვევს მკაცრ საბაჟო რეპრესიებს, მაგრამ ისეთი ქვეყნების მეზობლობა, როგორიცაა ჩინეთი და საბჭოთა კავშირი, სამხედრო დიქტატურას წესრიგში აყენებს. იგი ფაქტიურათ უკვე არსებობს, მეთაურიც ჰყავს—გენერალი არაკი და ელის ზოგიერთ ხელსაყრელ პირობებს მისი ფორმალურათ გამოცხადებისთვის როგორც სამინაო, ისე საგარეო სფეროში.

ჩვენ ვაღწევთ საბჭოთა კავშირის საზღვრებს, ვინაიდან ჩინეთის ვითარება ჯერ კიდევ არაა იმდენათ მომწიფებული, რომ თვალსაჩინო როლი ითამაშოს საერთაშორისო კონცერტში. საბჭოთა კავშირის ვითარება ხომ ჩვენი განუწყვეტელი მსჯელობის საგანს შეადგენს, არაფერია ჩვენთვის უცნობი, ჩვენი ერიც მის ფარგლებში იტანჯება. ცხადია ერთი რამ: «ერთი ქვეყნის სოციალიზმი» ვერ ხეირობს, ხმელეთის მეექვსედის ქონებისა და სიცოცხლის დაპატრონება ავაზაკთა ბრბოს მიერ და ტერორით მისი განმტკიცება არ ძალუძს მათ ბელადს სტალინს. მართალია, მათ ხელს უწყობს მსოფლიო კრიზისი, ევროპა-ამერიკის მმართველი წრეები კიდეც ეხმარებიან მათ, ზოგიერთნი აშკარათ მეგობრობენ, მაგრამ ყველა ეს ვერ გადაარჩენს მათ რეჟიმს დამხობისაგან.

ჩვენ ზოგადათ და სხარტათ შევეხეთ სამი კონტინენტის ზოგიერთ ტიპიურ მოვლენებს, რომელსაც ადგილი ჰქონდა 1933 წ., როგორია მათი ტენდენცია? ევროპა, ისე როგორც ამერიკა და აზია, თვითეული თანდათან ასუსტებს კავშირს დანარჩენ ორთან და თავის ფარგლებში ეძებს გამოსავალს. ევროპაში სახელმწიფონი, გარდა გერმანიისა და იტალიისა, ერთა ლიგის წიაღში ცდილობენ ურთიერთ ანტაგონიზმის დაშოშმინებას და მშვიდობიანობის დაცვას. მონტევიდეოში (ურაგვაი) ამ ჟამად მუშაობს კონფერენცია, რომლის მიზანია ამერიკის 20 რესპუბლიკის ერთგვარი ლიგის დაარსება იმავე მიზნის მისაღწევათ. აზიაში იაპონია აშკარათ ცდილობს მონროეს დოქტრინის განხორციელებას ლოზუნგით: აზია აზიელებისთვისო.

მაგრამ თვითეულ კონტინენტის ეს ტენდენციები ჯერ კიდევ არაა ისე ძლიერი, რომ მათ შესძლონ მოაწესრიგონ მწვავე სადაო კითხვები შიგნით. არის დიდი განსხვავებაც. ამერიკაში, მაგ., მიუხედავათ მრავალ სახელმწიფო გადატრიალებათა შიგნით და ზოგიერთ ადგილობრივ კონფლიქტისა გარეთ, ომის მთელს კონტინენტზედ მოდების კითხვა არა სდგას. ევროპაში მდგომარეობა უფრო დახლართულია და სახიფათო, მაგრამ აქაც უკანასკნელ წუთში შედრკებიან, ვისგანაც დამოკიდებულია, ომის წინაშე, რომელიც უთუოთ სამოქალაქო ომით დამთავრდება. სულ სხვაა აზიაში, აქ მოგროვილ წინააღმდეგობათა კვანძი თითქო იარაღმა უნდა გადასჭრას.

როცა შორეულ აღმოსავლეთში, ათასეულ კილომეტრის საზღვრებზედ, მოსკოვი აგროვებს წითელ ჯარების მესამედს და ამ ფაქტს დღე მუდამ საჯაროთ ხაზს უსობს ტოკიოს საგარეო თუ სამხედრო სამინისტრო, ცხადია რა შედეგი უნდა მოყვეს მას. გავიხსენოთ, 1914 წელს ვილჰელმა ომი გამოაცხადა რუსეთის მიერ საყოველთაო მობილიზაციის შემდეგ. იაპონიის მიკადო, მართალია, ისე არ აჩხარუნებს იარაღს, როგორც გერმანიის იმპერატორი, მაგრამ მთელი საშიშროება სწორეთ იმაშია, რომ იაპონიის სამზადისი უჩინარია და შეიძლება ამიტომ უფრო ინტენსიურიც. მოსკოვი, მოლოტოვის, ლიტვინოვის და რადეკის პირით, არ ერიდება გამოაშკარაოს თავისი სამზადისი და თავიც კი მოაქვს ამით. აშკარაა, ამერიკის მიერ ცნობამ და საფრანგეთის დაახლოებამ ის ერთობ გაათამამა. რამდენათ საფუძვლიანია ეს გათამამება?

ამერიკას უთუოთ სურდა გაემაგრებინა ზურგი რუსეთისათვის, ეს უდაოა, მაგრამ ეს არ მოასწავებს, რომ ის ჩაერევა ომში, და ამის საჩვენებლათ ერთი ჟესტი კიდეც გააკეთა მან, როცა თავისი ესკადრა დიდი ოკეანედან ატლანტიკში გადაიყვანა. ამ საშინელ კრიზისის დროს, როცა რუზველტი ჩაფლულია აღმშენებელ მუშაობაში, გამორიცხულია მისი ჩათრევა ომში, რომელიც სრულიად მიუღებელია თვით ამერიკის ხალხისთვის. არის მეორე დიდი სახელმწიფო—ინგლისი, რომელიც აშკარათ მომხრეა მისი ტრადიციულ მტრის—რუსეთის დასუსტებისა; მართალია, გარეგნულათ ის მშვიდობიანობას უგალობს, მაგრამ ვიკერსის ქარხნებს მხოლოდ დიდი

ომის დროს თუ ჰქონდა ისეთი გახურებული მუშაობა, როგორიც დღესა აქვს და დაკვეთები უმთავრესათ იაპონიისაა. რუსეთ-საფრანგეთის ძველი ალიანსის აჩრდილმა დიდი როლი ითამაშა ინგლისის პოლიტიკის ტრადიციულ პოზიციებზე დახევაში, ამით აიხსნება, სხვათა შორის, მისი არბიტრის როლში გამოსვლა საფრანგეთსა და გერმანიას შორის. უკანასკნელი, დასასრულ, უახლოვდება იაპონიას, და ჰიტლერის გერმანიას ხომ იგივე მიზანი აქვს დასახული ხმელეთისმეექვსედის მიმართ, როგორიც არაკის იაპონიას.

ეს ზოგადი ხაზები სრულიად საკმარისია დღევანდელ საერთაშორისო მდგომარეობის გასათვალისწინებლათ. 1933 წელმა ისეთი მემკვიდრეობა დაუტოვა 1934 წელს, რომელზედაც ვერც უარს იტყვის და არც შეუძლია მისი მიღება, ასე ვთქვათ, კანონიერი და ლეგალური წესით. ვეცადოთ, არ დავიშუროთ არც ძალი და ღონე, არც ჭკუა, რომ ქართველი ერი, მთელი კავკასია, არ დარჩეს გარიყული მოსალოდნელი მემკვიდრეობიდან.

საბჭოები ნაციათა ლიგაში ჭორია... თუ ნიადაგის მოსინჯვა *)

პირველი ახალი ამბავი, ყურს რომ მოესმა, იყო: «არ გაგიგონიათ, ამბობენ, საბჭოთა რუსეთი ნაციათა ლიგაში აპირებს შესვლასო?» ამის მომსმენი მეგობარს შეხვდა: «იცით? ს. ს. რ. კ. თავის კანდიდატურას აყენებს!—მართლა? მერე ვინღა წარმოადგენს და გაუწევს მფარველობას?—არ ვიცი. მაგრამ ალბად საფრანგეთი, ვინაიდგან ამ ორ სახელმწიფოთა შორის საუკეთესო განწყობილებაა». მოლაპარაკეთ აქ მესამე მიემატა ახალი ხმებით: «დანამდვილებით ვიცი, რომ საფრანგეთის დელეგატი წარადგენს საბჭოთა კანდიდატურას ნაციათა ლიგაში».

ჭორებია ... თუ ნიადაგის მოსინჯვა? მოგონილია ეს, თუ ამით გზას უჩვენებენ მოსკოვს ჟენევისაკენ? სადაა სიმართლე? ამის გასაგებად, გადავიკითხოთ ყოვლის უწინარეს ეხლახან გამოქვეყნებული სტალინის ინტერვიუ. რომ ჰკითხეს: «ნაციათა ლიგას ყოველთვის უარყოფით უცქერითო?» სტალინმა უპასუხა: «არა ყოველთვის, არა ყოველ პირობაში. მიუხედავად იმისა, რომ გერმანია და იაპონია ნაციათა ლიგიდან გავიდნენ, ან პირიქით, სწორედ მათი გასვლის გამო, ნაციათა ლიგა რჩება როგორც გამაფრთხილებელი დაწესებულება, რათა ხელი შეუშალოს და დააბრკოლოს საომარი მოქმედება. თუ ეს ასეა, თუ ნაციათა ლიკას შეუძლია გააძნელოს ომის გამოცხადება და ემსახუროს მშვიდობიანობის დაცვას, მაშინ ჩვენ არა ვართ ნაციათა ლიგის წინააღმდეგნი. თუ ამბავთა მიმდინარეობა ასეთი დარჩება, ჩვენ მხარს დავუჭერთ ლიგას, მიუხედავად მისი ბევრი ნაკლისა».

როგორ უპასუხა პარიზმა მოსკოვის ამ სიტყვებს? ყური დავუგდოთ პოლ-ბონკურს საფრანგეთის სენატში: «ს. ს. რ. კავშირი, მართალია, ჯერ არაა წევრი ნაციათა ლიგის, მაგრამ იმ პაქტების წყალობით, რომლებიც მან შეკრა თავის მეზობლებთან, ლიგის წევრებთან, იგი დაახლოვებულია ლიგასთან და ხელს უწყობს მშვიდობიანობას აღმოსავლეთ ევროპაში და ეგუება დასავლეთის ლოკარნოს». ჯერ არაა: ეს «ჯერ არაა» საგულისხმიეროა ხომ? თუ ჰაერში არა იყოს რა, პოლ-ბონკურს შეეძლო უბრალოთ ეთქვა: «ს. ს. რ. კ., მართალია, არაა წევრი ნაციათა ლიგის, მაგრამ...» აქედან უნდა დავასკვნათ: თუ საბჭოთა კანდიდატურა ჯერ დაყენებული არაა, გვაქვს სრული უფლება ვიფიქროთ, რომ ის იქნება წამოყენებული ახლო მომავალში.

ნაციათა ლიგას, უეჭველია, დიდად ენებს ის გარემოება, რომ ბევრი დიდი სახელმწიფო თანამშრომლობს მასთან, როცა აქედან სარგებლობას გამოელის, ხოლო უარს ამბობს თავს იდვას მოვალეობა და პასუხისმგებლობა. ამ მხრით ლიგის გაფართოვება ფრიად სასურველია, მაგრამ ერთი არსებითი პირობით. თუ ვინმე მას ემხრობა, ეს მიმხრობა უნდა იყოს ლოიალური და, ვინც მას უერთდება, ვინც უნდა იყოს იგი, უნდა დაიწყოს მით, რომ თვითონ პატივი სცეს იმ მთავარ პრინციპებს, რომლებიც საფუძვლად უდევს ნაციათა ლიგის პაქტს. ხოლო თუ ლიგაში შეუშვეს ისეთი სახელმწიფო, რომელიც უარყოფს თავის ხელის მოწერას, ეს მიაყენებდა ლიგას დიდს ზნეობრივს და მატერიალურს ზიანს, ეს იქნებოდა ლიგისთვის საბედისწერო.

რამდენიმე წლის წინად გერმანიამ, რომელიც თავის თავს განმარტოებულად ჰგრძნობდა, საბჭოები ჟენევაში სტუმრად მოიყვანა. თვეების განმავლობაში საბჭოთა რუსეთი მას მხარს უჭერდა. მაგრამ ბოლოს და ბოლოს საბჭოებმა ზურგი შეაქციეს გერმანიას. დღეს თითქოს საფრანგეთს მოყავს ს. ს. რ. კ. ჟენევაში. არ გაუცრუვდება იმასაც იმედი? ნუ თუ მან დაივიწყა, რაც დაკარგა რუსეთში, აღარ ახსოვს ბრესტ-ლიტოვსკი?

თუ ეს პოლიტიკური ხერხია, ადვილად მოსალოდნელია, იგი მისი ავტორების წინაამდეგ შეტრიალდეს. მაგრამ თუ საკითხს მივუდგებით უფრო სახოგადო თვალსაზრისით, საბჭოების მიღება ლიგაში საბედნიერო იქნება კაცობრიობისთვის? ჩვენ კვლავ ვიმეორებთ: ეს გულწრფელობის საკითხია. ამას თვით ლიგის პაქტი სვამს ასე გარკვეულად: «ყოველს სახელმწიფოს, რომელიც თავისუფლად მართველობს, შეუძლია გახდეს ნაციათა ლიგის წევ-

*) ეს წერილი დაბეჭდილი იყო Journal de Geneve-ის ამა წლის იანვრის 19 ნომერში და ეკუთვნის ამ გავლენიანი გაზეთის მთავარ ხელმძღვანელს, ჩვენს მეგობარს ჟან მარტენს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი, თუ ამას გადაწყვეტს საზოგადო კრების ორი მესამედი, იმ პირობით კი, რომ ეს სახელმწიფო იძლევა ნამდვილ გარანტიებს იმისა, რომ გულწრფელი სურვილი აქვს, დაიცვას თავისი საერთაშორისო ვალდებულებანი».

მაგრამ ჩვენ ხომ კარგად ვიცნობთ ბოლშევიკების ამ «გულწრფელობას». აი რუსეთ-საქართველოს 1920 წ. 7 მაისის ხელშეკრულობის პირველი მუხლი: «აღიარებს რა რუსეთის სოციალისტურ ფედერატულ საბჭოთა რესპუბლიკის მიერ გამოცხადებულს ყოველი ერის თვითგამორკვევის უფლებას სრულ გამოყოფამდე, რუსეთი ყოველივე პირობის გარეშე სცნობს საქართველოს სუვერენობას და დამოუკიდებლობას და სრული ნებით უარს ამბობს ყოველ სუვერენულ უფლებაზე, რომელიც ეკუთვნოდა რუსეთს საქართველოს მიმართ».

ეს იყო 1920 წ. 7 მაისს. ხოლო 1921 წ. თებერვალში: საბჭოთა რუსეთის რესპუბლიკის ჯარი შეესია საქართველოს, გაანადგურა თავის ხიშტებით და დაიმორჩილა. და აი ცამეტი წელიწადია უკვე, საქართველოს სახელმწიფო, საბჭოების მიერ დამოუკიდებლად ცნობილი, იტანჯება მათი უღლის ქვეშ!

პატარა დაჩაგრული ერების მფარველი საფრანგეთი აღელვებული და აღშფოთებული იყო. დეპუტატთა პალატაში 1922 წ. ჰერიომ ასეთი სიტყვებით მიმართა მინისტრთა საბჭოს მაშინდელს თავმჯდომარეს პუანკარეს: «საქართველოს სუვერენობა გადაჭრით იყო ცნობილი მოკავშირე სახელმწიფოების მიერ, იგი იცნო სრულიად გარკვეული ხელშეკრულობით რუსეთმაც. ვთხოვ მთავრობის თავმჯდომარეს კეთილ ინებოს და გამოაცხადოს, რომ მისი მთავრობა კვლავინდებურად მხარს უჭერს ამ დამოუკიდებლობას. თუ ასეთი განცხადება იქნება გაკეთებული საფრანგეთის სახელით, რომელიც ყოველთვის მხარს უჭერდა პოლონეთის და ჩეხების დამოუკიდებლობას, ჩვენ გავამხნევებთ უბედურს და დაჩაგრულს ერს». პუანკარემ უპასუხა: «პატივცემულმა ჰერიომ თვითონ გამოსთქვა მთავრობის აზრი, რომელიც არა ერთხელ გამოგვითქვამს საქართველოს სახელმწიფოს მიმართ».

ს. ს. რ. კავშირს ეძლევა მშვენიერი შემთხვევა იმის ნამდვილი გარანტიის მოსაცემად, რომ გულწრფელი განზრახვა აქვს საერთაშორისო ვალდებულებათა დაცვის. საკმარისია, მიეგებოს ჰერიოს, ზევით ნახსენებ სურვილებს და ნუღარ თელავს ფეხით საკუთარი ნებით 1920 წ. მაისის 7 დადებულ ხელშეკრულობას, საკმარისია დაუბრუნოს საქართველოს დამოუკიდებლობა. ეს დებულება საუცხოოთ განავითარა ედგ. მილომ 1926 წ. გამოცემულ ბროშურაში და ასეთ რეზოლუციაში გამოკვეთა:

«საქართველოს დამხმარე საერთაშორისო კომიტეტი აცხადებს, რომ ნაციათა ლიგის წევრ სახელმწიფოების გარდაუვალი მოვალეობაა მოაგონონ რუსეთს, როცა ის მოინდომებს ლიგაში შესვლას, პატივი სცეს თავის ხელის მოწერას, და ამიტომ არ მიიღონ იგი წევრად, სუვერენულ და დამოუკიდებელ საქართველოსთან შეუთანხმებლად».

ეროვნულ ბრძოლის გეზისა და ტაქტიკის გაფართოვებისათვის

საქართველოს განმათავისუფლებელი ბრძოლის მიზანი და გეგმა ყველა ჩვენი წრეების მიერ მიჩნეულია სავსებით უდავოთ, გადაჭრილათ და გადაწყვეტილად. სამწუხაროდ ეს სავსებით ასე არ არის. მართალია ეს ჩვენი ეროვნული მიზნები დავას არ იწვევს. ქართველი ერი რომ იბრძვის თავისუფლებისათვის, ეს ბუნებრივია და ყველასთვის გასაგები. ყოველი ერი ასე იქცევა და ასეთი მისწრაფება მას არ დაეკარგება, სანამ ერი ერობს. მაგრამ ის, რაც საყოველთაოა, ყველას მიერ უდავოდ და სავალდებულოთ მიჩნეული, ზოგადი მცნების ხასიათს ღებულობს და არ ჩაითვლება პოლიტიკური გეგმის შინაარსად. ის სულია მისი და რეალურ მოვლენად მხოლოდ მაშინ გახდება, როდესაც ხორცს შეისხამს, აზრი მოქმედებას დაუკავშირდება და მიზანი კიდევ განაღდების გზებსა და საშვალებებს.

ამ მხრივ ჩვენი ეროვნული მიზანი საფუძვლიანად შევსებასა და შეკეთებას საჭიროებს. ჩვენ ვიბრძვით საქართველოს სუვერენობის აღდგენისათვის, მაგრამ ნაკლებად გვაქვს გამორკვეული და შესწავლილი ის სხვადასხვა გზები და საშვალებანი, რომლებმაც ჩვენ მას უნდა მიგვაახლოვოს თუ მასთან მიგვიყვანოს. ბრძოლისა და მოქმედების სხვადასხვა გზები, სხვადასხვა საშვალებანი, ამ ბრძოლის საშინაო და საგარეო პირობები, მუდმივ მერყევი და ცვალებადი, მუდმივი შესწავლისა და გარკვევის საგანს წარმოადგენს. თუ ბრძოლის გეგმა მხოლოდ მშრალ მიზანს შეიცავს და არა ყველა ამ საკითხთა ჯამს, ასეთი ბრძოლა მუდამ უნიციატივო იქნება, მოკლე მანძილიანი, მოწინააღმდეგე ძალთა სათამაშო, საკუთარ ნებისყოფას მოკლებული, სხვათა ნებისყოფაზე დამოკიდებული.

ამ მიმართულებით ჩვენი პოლიტიკა დიდათ მოისუსტებს და მნიშვნელოვან შევსებასა და შეკეთებას საჭიროებს.

კარგა ხანს ის ჩვენი ეროვნული პოლიტიკა რუსული პოლიტიკის ჩარჩოებს ვერ სცილდებოდა, მაგრამ ამ მიმართულებითაც მას არ აქვს საჭირო სისრულე. მეფის რუსეთის ხანაში ჩვენი ეროვნული პოლიტიკის გასაქანი ფრიად ვიწრო იყო, ქართული კულტურისა და ეკონომიური და პოლიტიკური ცხოვრების ელემენტარულ საჭიროებათა დაცვისა და დაკმაყოფილების სფეროს ვერ სცილდებოდა. რუსეთის იმპერიის დამხობამ გაუხსნა საქართველოსა და სხვა არა რუსთა ქვეყნებს საკუთარი სახელმწიფოებრივობის აღდგენის გზები. მაგრამ სანამ საქართველოს სახელმწიფოებრივი ცხოვრება მტკიცე საფუძვლებზე არ დამყარდებოდა, სანამ ქართველი ერი არ განთავისუფლდებოდა ასი წლის მონობის მემკვიდრეობისაგან და არ აღიჭურვებოდა მტკიცე და

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამოუკიდებელი ნებისყოფით, მისი ზრახვები და მისწრაფებანი ვერ გახდებოდენ საკმარისად ფართე და ფრთა გაშლილი. რუსეთის საშიშროება მისთვის რეალ-ურ საფრთხეს წარმოადგენდა და მისგან თავდაცვის გზები საკვლევი და საძებნელი იყო. ქართული პოლიტიკა ამ სხვრივ ორი მიმართულებით მოქმედებდა. ერთი იყო საკუთარი ძალით თავდაცვის საქმის მოგვარება საკუთარ შესაძლებლობათა ფარგალში და მეორე—რუსეთის პოლიტიკურ წრეების დარწმუნება და დაჯერება, რომ ქართველი ერი მტკიცედ და საბოლოოდ დაადგა დამოუკიდებელი ცხოვრების გზას, რომ ის ემყარება ურყევ იურიდიულ უფლებებს, უდავო ინტერესებსა და მთელი ერის ერთსულოვან ნებისყოფასა და რომ ასეთს პირობებში რუსეთის ინტერესები მოითხოვს ამ ფაქტის შეგუებასა და მასთან თავის პოლიტიკის შერიგებას. საქართველომ იმ ხანად ჯეროვანად ვერ გამოიყენა ამის გარეშე მყოფი სხვა გზები და საშვალებანი.

რუსეთის ერთსულოვანი განწყობილობა საქართველოს მიმართ მალე გამქღავნდა სავსებით ნათლად და გარკვეულად. ყველა პარტიებმა და მიმდინარეობამ საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ გაილაშქრა. მემარჯვენე რუსეთი მეფის რუსეთის გზით წავიდა და დენიკინის ხელით მას მახვილი მოუღირა. სოციალისტებმაც ის ჯერ იცნეს, ხოლო შემდეგ თავისი ნამდვილი განზრახვები გაამქღავნეს და სხვათა შორის სიტყვით შეურიგდენ, ხოლო კომუნისტებმა, რომელნიც ერთა გამორკვევის იდეას იცავდენ, ცეცხლითა და მახვილით შემუსრეს და წაქციეს.

თვით სამშობლო დაკარგული რუსის ემიგრაციაც ამავე გზით მიდის. საბჭოთა ძალაუფლების დამხობა და მოსკოვის დაბრუნება მათთვის განუყოფელია თბილისისა და ხარკოვის დაბრუნებასთან. რუსულ ემიგრაციის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელი, პავლე მილიუკოვი, მეთაური რესპუბლიკანურ-დემოკრატიულ კოალიციისა, ასეთს გეგმას გვისახავს თავის «სამს პლათფორმაში»: თუ რუსეთის ეროვნებანი უფრო ადრე განთავისუფლდებიან საბჭოთა რეჟიმისაგან, ვიდრე რუსეთი მთლიანად, ისინი მოაწყობენ დროებით ერთგვარ კონფედერატულ კავშირს, რაც შემდეგ გადაიქცევა ფედერაციად თუ ავტონომიურ წყობილებად. ხოლო თუ განთავისუფლება მოხდა არა ნაწილობრივ, არამედ მთლიანად და ერთდროულად, ცენტრის მონაწილეობით, მაშინ ცხადია სხვა გვარი სურათი იქნება». მაშასადამე თუ ერები მოსკოვზე უფრო ადრე განთავისუფლდენ თავის ძალითა და საშვალებით, ისინი დროებით ცალკე უნდა მოეწყონ, მაგრამ როგორც კი რუსეთი განთავისუფლდება, თავისი თავი მას ხონჩაზე უნდა მიართვან და ისიც მათ ავტონომიას მიანიჭებს, რასაკვირველია, თუ ამას მოისურვებს. მაგრამ თუ ეს ერები და მოსკოვი ერთ და იმავე დროს განთავისუფლდენ, «მაშინ, როგორც მილიუკოვი გვპირდება, ცხადია სხვა გვარი სურათი იქნება». რასაკვირველია ეს სურათი გაცილებით უარესი იქნება და ამის გამო მილიუკოვი მას წინდაწინ არ გვიმქღავნებს. მაგრამ ამის გამოცნობა არც ისე ძნელია, როდესაც ჩვენ ვიცით ძველი რუსეთის ხაზი ამ მიმართულებით და ეხლანდელ მის დაჯგუფებათა და პარტიების აზრი და სულისკვეთება. ეს იქნება აღდგენა ძველი რუსეთის იმ კოლონიალურ პოლიტიკისა, რომელსაც თვით მილიუკოვი «ასირიულ» პოლიტიკას უწოდებს—ძალდატანებითი ასსიმილიაცია, ყოველივესი ცენტრიდან მართვა და სხ. და სხვაგვარი პოლიტიკის წარმოება რუსეთს არც შეეძლება, ვინაიდან თუნდაც თანამედროვე ევროპიულ კოლონიალური პოლიტიკის წარმოებისათვის თუ მეფის რუსეთს არ მოეპოებოდა საჭირო კულტურული და ეკონომიური შესაძლებლობანი, ეს კიდევ უფრო ნაკლებად ექნება, ამის სურვილიც რომ ჰქონდეს, იმ წრეებს, რომელნიც გახდებიან კომუნისტური რეჟიმისაგან სულიერად და ქონებრივად დაუძლურებულ რუსეთის მემკვიდრეებად.

მაშასადამე ყველა ჯურის რუსობა უთბილისოდ, უხარკოვოდ და უსამარყანდოთ არ თანხმდება მოსკოვისა და ძირეული რუსეთის დაბრუნებას. ასეთი გარემოება ბუნებრივად უნდა იწვევდეს ჩვენი ბრძოლის გეგმისა და ტაქტიკის შევსებას. საქართველოსა და სხვა დამონებულ ერთა პოლიტიკურ გეგმებში საფუძვლიანად უნდა იყოს დამუშავებული არა მარტო ამ ქვეყნების განთავისუფლებისა და მოწყობის საკითხები, არამედ თვით რუსეთის განთავისუფლების, და მისი მომავალი პოლიტიკის გზები და შესაძლებლობანი. რასაკვირველია ამ ერთა გეგმებში არ შევა რუსეთის ტერიტორიის შესახებ რაიმე პრეტენზიები, როგორც ამას დაჟინებით მისდევს რუსეთი ჩვენს მიმართ, მაგრამ ჩვენი არსებობის შენარჩუნებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რა მიმართულებას მიიღებს რუსეთის განთავისუფლებისათვის ბრძოლა, რა ძალები გაუწევენ მეთაურობას ამ ბრძოლას და რა ძალები ჩაუდგებიან მას სათავეში საბჭოთა ძალაუფლების დამხობის შემდეგ. ამ მიმართულებით უთუოდ დიდს ინტერესს იჩენენ და გამოიჩენენ მრავალი სახელმწიფონი, რომელნიც უშუალოდ სრულებით არ არიან დაკავშირებული რუსეთის აწმყო და მომავალ ბედთან. ჩვენი მდგომარეობა ამ მხრივ სულ სხვაა. ჩვენი უშუალო ინტერესების განაღდება დიდათ არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორს პირობებში მოხდება მოსკოვის განთავისუფლება ბოლშევიკებისაგან და რა ძალები დაიჭერენ იქ მათ ადგილს.

საქართველო და რუსეთისაგან დამონებული სხვა ერები, რასაკვირველია, მიზნად არ დაისახავენ რუსეთთან მუდმივი მტრული განწყობილობის დანერგვას. წინაამდეგ ამისა მათი გეგმა იქნება გეგმა ინტერესთა შერიგებისა და შეთანხმების, კეთილი მეზობლური განწყობილობისა და ურთიერთობის შექმნის. მაგრამ სანამ რუსის ხალხს დარჩება ეს მუდმივი ბორგვისა და ხეტიალის სულისკვეთება, სანამ ის არ შეჩერდება თავის მიწა-წყალზე და არ შეუდგება მაზედ თავის სახელმწიფოებრივი ცხოვრების მოწყობას მშვიდობიანი შრომითა და შემოქმედებით, მანამდე ის მუდმივი საფრთხე იქნება ყველა მის მეზობელ ერებისათვის და ამათი თავდაცვის მუდმივ ამოცანად დარჩება, რომ საერთოდ ჰქონდეთ მი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკენ თვალი და საერთო ძალით ცდილობდენ მის გარშემო ხლუდეების ამაღლებას და განმტკიცებას.

საქართველო და კავკასია საკმარისად მნიშვნელოვან როლს თამაშობდა მეფის რუსეთის ცხოვრებაში. ეს როლი გაცილებით გაიზარდა ამ უკანასკნელ ოცდაათი წლის მანძილზე. ჩვენ არ გვაქვს საბუთი ვიფიქროთ, რომ ის მცირე იქნება საბჭოთა რუსეთის წაქცევის ხანაში. საჭიროა მხოლოდ ამ მიმართულებით ყველა გზებისა და შესაძლებლობის გათვალისწინება და გამოყენება. საჭიროა ჩვენი ძველი ვიწრო თავდაცვის გეგმის შევსება, ვინაიდან სამხედრო მეცნიერება გვასწავლის, რომ მარტო თავდაცვის გეგმა გამარჯვებით ძლიერ იშვიათად გვირგვინდება.

რუსეთის წრეები დარწმუნებული არიან, თუ ასე გვაჩვენებენ თავს, რომ საკმარისია მოსკოვის ეხლანდელი წყობის წაქცევა და მის ნაცვლად სხვა ძალის მოსვლა, რომ არა რუს ერებს შიშისაგან გული წაუვიდეთ და მოსკოვს პატივება და შებრალება სთხოვონ წარსულ შეცოდებებისათვის. თუ ეს არ მოხდა, მათ იმედი აქვთ, რომ უბრალო მათზე შეტევა საკმარისი იქნება, რომ რუსეთსა და მათ შორის ამართული კედლები დაიმსხვრეს და «მთლიანი და განუყოფელი» რუსეთი აღსდგეს. უთუოდ უფრო რეალური მოსალოდნელობაა, რომ საბჭოთა ძალაუფლების წაქცევის შემდეგ რუსეთი კარგა ხანს იქნება გართული შინაურ სამოქალაქო ბრძოლით, ხოლო ერთი ეროვნული მიზნით შეპყრობილი რუსეთის ერები რუსეთზე უფრო ადრე აღადგენენ სახელმწიფოებრივ წყობას და შესაძლებლობა ექნებათ, რომ ამის შემდეგ რუსეთის მდგომარეობასაც ათხოვონ ყური და საერთო ძალით ხელი შეუწყონ მასში ისეთი პოლიტიკის დამყარებას, რომელიც უზრუნველყოფს რუსეთის მშვიდობიან ცხოვრებას და ამასთან ერთად არ დარჩება საშიშროებად ეხლანდელ რუსეთის სივრცეზე აღდგენილ ეროვნულ სახელმწიფოთა დამოუკიდებელ არსებობისთვის.

ალ. ასათიანი.

რუს იმპერიალისტების შიში

კაცობრიობა ახალი ომის საფრთხის წინაშე დგას. ეგ საფრთხე იმდენად რეალური და ხელშესახები გახდა განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც გერმანიას ჰიტლერის რასისტული მთავრობა მოექცა სათავეში, რომ მის შესახებ განუწყვეტლივ წერენ და ლაპარაკობენ როგორც პრესაში, ისე საზოგადოებაში. ერთა ლიგის რწმენა ყველას დაეკარგა, მისი იმედით დარჩენას ვერვინ ბედავს; არავის ჯერა, რომ ეგ ორგანო შესძლებს თავიდან ააცილოს კაცობრიობას ახალი ომის საშინელებანი. ეგ იწვევს სახელმწიფოების ძველებურ წესებით დაჯგუფებას, ერთიმეორის მოწინააღმდეგე ბანაკებად დაყოფას. დიპლომატიის გვერდით ამუშავდენ გენერალური შტაბებიც; ატმოსფერა, რაც სრულიად ბუნებრივი და ჩვეულებრივი მოვლენაა ასეთ მდგომარეობისათვის, თოფის წამლის სუნით არის გაჟღენთილი. ეწყობა და მზადდება ისეთი მდგომარეობა, რომელშიაც ზარბაზნები თავისით იწყებენ შემზარავ ჭექა-ქუხილს.

ცხადია, რომ ამ მდგომარეობას ესა თუ ის გამოძახილი უნდა ეპოვა ემიგრანტულ წრეებში და მათ პრესაშიც; კიდეც იპოვა: ზოგს იმედები გაუღვიძა, ზოგს კი შიშის ქარები გაუჩინა. განსაკუთრებით წონასწორობა დაკარგეს რუს ემიგრანტულ წრეებმა.

სხვადასხვა ქვეყნებში გაპნეული რუსული ემიგრაცია დღეს ორ ერთიმეორის მოწინააღმდეგე ბანაკათ არის გაყოფილი; ერთ ბანაკს შეადგენენ ყველა ჯურისა და ნუანსების მემარჯვნე ჯგუფები, რომელნიც მზად არიან ყოველგვარი მსხვერპლი გაიღონ, განაპირა ქვეყნების დაკარგვასაც კი შეურიგდენ დროებით, ოღონდ რუსეთი განთავისუფლდეს კომუნისტურ ხელისუფლების საშინელ ბატონობიდან; მეორე ბანაკში თავი მოიყარა ემიგრაციის მემარცხნე ნაწილმა, რომლის ხელმძღვანელი და წინამძღოლია ცნობილი ისტორიკოსი და პოლიტიკური მოღვაწე პ. მილიუკოვი; უკანასკნელს ზურგს უმაგრებენ რუსი სოციალისტებიც.

ამ ჟამად ჩვენთვის—ქართველებისთვის—და აგრეთვე საბჭოთა კავშირში შემავალ ყველა არარუს ხალხებისთვის, განსაკუთრებით საყურადღებოა ის აქტიობა, რომელსაც მილიუკოვი და მისი დაჯგუფება იჩენენ. სულ ერთი თვის მანძილზე მილიუკოვმა საერთაშორისო მდგომარეობაზე და მასთან დაკავშირებით რუსულ საკითხზე ორი მოხსენება წაიკითხა ლონდონში, ერთი პარიზში; მისმა გაზეთმა რამდენიმე მოწინავე უძღვნა ამავე საკითხს; მას გამოეხმაურენ რუსეთის ყოფილი რწმუნებული ლონდონში ე. საბლინი, ეკონომისტი მარკოვი, ვიღაც მათვეევი და მრავალი სხვა, ზოგი ემიგრანტულ პერიოდულ გამოცემებში და ზოგიც კერძოთ ამ საკითხისთვის მოწვეულ კრებებზე.

დღევანდელი საერთაშორისო მდგომარეობა მილიუკოვს იმდენად აინტერესებს და აწუხებს, რამდენადაც იგი წარმოადგენს საშიშროებას «მთლიან და განუყოფელ» რუსეთის იდეისთვის. გარდა იმისა, რომ მას შიშის ციებ-ცხელებაში აგდებს რუსეთის შორეულ აღმოსავლეთის მოსალოდნელი დაკარგვა, მას აშინებს აგრეთვე ისიც, რომ ევროპის სახელმწიფოები რუსეთის ხარჯზე არ მორიგდენ, ომის თავიდან ასაცილებლათ რუსეთი არ განწირონ. მან კარგად იცის, რომ გერმანიას დღესდღეობით არ ძალუძს ანგარიში გაუსწოროს საფრანგეთს და თავისი რევანშისტული სულისკვეთება დაიკმაყოფილოს, მაგრამ მისი გეგმები რუსეთის მიმართ დიდ საგონებელში აგდებს შორსმჭვრეტ პროფესორს. «თუ გერმანელები ვერ მიაღწევენ მიზანს დასავლეთთან მოლაპარაკებაში,—ლაპარაკობს თავის მოხსენებაში მილიუკოვი,—მათ შეუძლიათ ყურადღება მიაპყრონ აღმოსავლეთს, რომ დანაკლისი აინაზღაურონ თავის აღმოსავლეთის მეზობლების—რუსეთის და ბალტი-

ის სახელმწიფოების—ხარჯზე». საამისო საბუთები მილიუკოვს არ აკლია: ფონ-პაპენის მოლაპარაკება ფრანგ პოლიტიკურ მოღვაწეებთან, როზენბერგის ცდები ამავე მიმართულებით ლონდონში და დასასრულ ჰუგენბერგის მიერ ეკონომიურ კონფერენციისათვის წარდგენილი მემორანდუმი საკმაოდ ამჟღავნებენ გერმანელთა სულისკვეთებას. თუ ამას ზედ დაურთავთ რასისტულ მთავრობის ცდებს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში რუსულ ემიგრაციის მემარჯვნე ნაწილის ჩათრევის შესახებ და აგრეთვე იმ ყურადღებას, რომელსაც ის იჩენს უკრაინელ სეპარატისტების მიმართ, სამართლიანად შეიძლება დავასკვნათ, რომ მილიუკოვის შიში არ არის მოკლებული საფუძველს.

ეს ასეა მით უმეტეს, რომ მილიუკოვს არა აქვს იმედი, რომ რუსეთს ვინმე გამოუჩნდეს ქომაგათ: მას არ მიაჩნია შეუძლებლათ, რომ საფრანგეთი გადამჭრელ მომენტში არ შეეცდება ევროპას ომი ააცდინოს რუსეთის ხარჯზე; მას სულიერ სიმშვიდეს ურღვევს ის ფაქტი, რომ გერმანელებთან მოლაპარაკებას აწარმოებს პირადათ «დარწმუნებული რუსოფობი» და «რუსეთის მოძულე» პილსუდსკი; ყოველივე იმედს აცლის ხელიდან ინგლისელ ლორდის როტერმირის გეგმა «რუსეთის ხარჯზე ევროპის მოწყობისა და დაწყნარების» შესახებ და ისიც ისეთ გაზეთში («დეილი-მეილ»), რომელიც ყოველ დღიურათ 2.750.000 ცალათ ვრცელდება; ეჭვის თვალით უცქერის საბლინის ცნობას, რომ ინგლისში შესაძლებელია «დიპლომატიური მუშაობით» რამე გაკეთდეს რუსეთის სასარგებლოთ. მილიუკოვი თვითონ იყო ლონდონში, მან პირველი თავისი მოხსენება წაიკითხა «საგარეო საქმეთა სამეფო ინსტიტუტში», რომლის წევრებათ არიან: «ყოფილი და ნამდვილი მინისტრები, პარლამენტარიები, საგარეო საქმეთა სამინისტროს გამოჩენილი მოხელეები, პარლამენტის გარეშე დარჩენილი ლიდერები პოლიტიკური პარტიებისა, დიდ გაზეთებისა და ჟურნალების საგარეო განყოფილებათა რედაქტორები, მწერლები, მეცნიერები და სხ.» ეს ის ხალხია, რომელიც ინგლისის საგარეო პოლიტიკის მიმართულებას იძლევა, და მილიუკოვის ეჭვები ცხადყოფენ, რომ მან აქ ვერ პოვა, რასაც დაეძებდა: თანაგრძნობა და დახმარების დაპირება.

მილიუკოვი ფრთხილი და შორმჭვრეტი პოლიტიკური მოღვაწეა, მისი შიში უსაფუძვლო პანიკოობა არ არის. იგი კარგად გრძნობს, რომ საბჭოთა ხელისუფლებას მისი ახალი «მეგობრები»—საფრანგეთი და შეერთებული შტატები—სულ თუ არ გასწირავენ, საგრძნობ დახმარებას მაინც ვერ აღმოუჩენენ. საბჭოთა კავშირი რჩება განმარტოვებული, ორი მტრის შორის,—დასავლეთით გერმანია, აღმოსავლეთით იაპონია—, რომელთა შორის, როგორც ხმები დადის, შეთანხმებაც კი უნდა არსებობდეს რუსეთის შესახებ.

ჩვენ არ ვართ რუსის ხალხის მტრები; ჩვენში თანაგრძნობას ვერ პოვებს მტაცებლური პოლიტიკა, ვის წინაამდეგაც არ უნდა იყოს იგი მიმართული, მაგრამ შეუძლებელია, რომ მილიუკოვისა და მისი მიმდევრების მიერ ამ ჟამათ წარმოებულმა კამპანიამ უსაზღვრო აღშფოთება არ გამოიწვიოს საბჭოთა კავშირში შემავალ არარუს ერებში. საბჭოთა ხელისუფლებამ მთელი კავშირი დაღუპვის პირამდე მიიყვანა. სხვა მის ცოდვებს რომ თავი დავანებოთ, მარტო უკანასკნელი შიმშილის მსხვერპლს ზოგნი 5 6 მილიონს ითვლიან, ზოგნი ათსაც. უაღრესობამდე განაწამები ხალხები ციურ მანანასავით მოელიან საბჭოთა ხელისუფლების დაცემას და აი, ამ დროს მილიუკოვი ყველას მიერ შეძულებულ ხელისუფლებას თავის მფარველობის ქვეშ აყენებს, «ეროვნულ ფუნქციების აღმსრულებელის» როლში გამოყავს და ამ აზრის განმარტებაში ციინიკურად აცხადებს, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ რუსული ტერიტორია გააერთიანაო. ეს «რუსული ტერიტორიის გაერთიანება» მილიუკოვის დიპლომატიური ენიდან რომ გასაგებ ენაზე გადმოვთარგმნოთ, მივიღებთ, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ დიდი რევოლუციის მიერ განთავისუფლებულ ზოგიერთ არარუს ერებს ხელახლავ შეადგა მონობის უღელი, მოაქცია ისინი თავის ველურ ექსპერიმენტების სფეროში და ყოველდღიურ მეთოდიური მეცადინეობით სპობს მათ ფიზიკურ არსებობას. აი ის დამსახურება, რომლისთვისაც მილიუკოვი ეროვნულ მთავრობის დიპლომს აძლევს 160 მილიონიანი მოსახლეობის ჯალათ ხელისუფლებას.

მილიუკოვისთვის მოსახლეობა, ხალხი არაფერია, რუსეთის «მთლიანობა» კი ყველაფერი. დე ყოველ წლიურად ათიოდე მილიონი სიცოცხლე შეიწიროს შიმშილმა, ინკვიზიციის სარდაფებმა, სოლოვკებმა და ჩეკისტთა ტყვიებმა, ოღონდ რუსეთს შერჩეს არარუს ერების ტერიტორია. ასეთის «კაცთმოყვარულის» გრძნობებით აღგზნებული მილიუკოვი ემიგრაციას აფრთხილებს და ასწავლის: ერთი და იმავე დროს საბჭოთა ხელისუფლების ჩამოგდება და რუსეთის დაცვაც შეუთავსებელია, «ბოლშევიკების ჩამოგდებას ემიგრაცია ცოტა რამეთი თუ დაეხმარება, ხოლო რუსეთის დანაწილებას კი დიდათ შეუწყობს ხელსო».

მილიუკოვს აშინებს არა ომი თავისთავად, არამედ ის, რომ ომს შეიძლება მოყვეს საბჭოთა კავშირში მოქცეულ დაჩაგრულ ერების განთავისუფლება რუსეთის უღლიდან. ამ შიშს მას უძლიერებს არა მარტო სეპარატიულ მოძრაობათა გაძლიერება უკრაინაში, ბელოროსიაში, თურქესტანში და კავკასიის ხალხებში, არამედ აგრეთვე ის თანაგრძნობა, რომლითაც ამ მოძრაობას ეპყრობიან ევროპის ზოგიერთი დიდი და პატარა სახელმწიფოები. ამის უტყუარ საბუთს იძლევა თვით საბლინი, რომელიც გულდამწვარი აცნობებს მილიუკოვს, რომ «სხვა და სხვა საგარეო საქმეთა სამინისტროებში, საელჩოებისა და მისიების კანცელარიებში უკვე გაჩდენ უბედურების წინამორბედი «საქმეები» და «პაპკები», რომლებზედაც ლურჯი ფანქრით არის ამოხატული სიტყვები «რუსეთის დანაწილება», «რუსეთის ბალკანიზაცია» და სხ.»

ამ გარემოებათა ზეგავლენით მილიუკოვის მიერ წარმოებული კამპანია განსაკუთრებით და პირვე-

ლად ყოვლისა მიმართულია საბჭოთა კავშირში შემავალ დაჩაგრულ ერების განმათავისუფლებელ მოძრაობათა წინააღმდეგ. ამ მხრივ მოხუცი პროფესორი ისე შორს მიდის, რომ მისი ალარმისტული გამოსვლები აშკარა დასმენისა და დაბეზღების ხასიათს ღებულობენ. მისი საჯარო მოხსენებები თუ საგაზეთო წერილები საბჭოთა ხელისუფლებას უთითებენ დაჩაგრულ ერებზე: ფრთხილად იყავი, საბჭოთა ხელისუფლებავ! შენს წინაშე დგას არა მარტო საგარეო საფრთხე, არამედ საშინაოც; არ დაივიწყო არარუს ერთა სეპარატიული მისწრაფებანი. თუ დროზე არ დაიკავე შესაფერი თადარიგი, საკმარისი იქნება შენი ფეხის წაფორხილება, რომ ეგ ერები გაგექცეს და შენი კავშირი დაიშალოს მის შემადგენელ ეროვნულ ნაწილებათ. გახსოვდეს, რომ დაკარგვა ადვილია -უკან დაბრუნება კი ძნელი,—ასეთია ნათლად გამოთქმული აზრი და შინაარსი მილიუკოვის გაფრთხილებისა.

ამნაირად წითელი და თეთრი რუსების ფრონტი გაერთიანდა დაჩაგრულ ერთა წინააღმდეგ. მაგრამ მილიუკოვს ავიწყდება, რომ საბჭოთა კავშირის მოსახლეობის ნახევარზე მეტი დაჩაგრული ხალხები შეადგენენ; ეგ ხალხები უკვე გამოფხიზლებულია, მათ შეგნებული აქვთ თავიანთი ეროვნული შეობა. დაჩაგრულმა ერებმა დღეს უკვე იციან, რომ მათი ხსნა გაერთიანებულ და შეთანხმებულ მოქმედებაშია, რომ საერთო მტრის წინააღმდეგ საერთო ღონისძიება უნდა იქნეს მიღებული. ერთი დარაზმულობა მეორე დარაზმულობას იწვევს—ასეთია საზოგადოებრივ მოვლენათა განვითარების გარდაუვალი ლოგიკა.

მილიუკოვი აფრთხილებს საბჭოთა ხელისუფლებას, მაგრამ ეგ გაფრთხილება ესმის საბჭოთა კავშირში ძალით შედენილ ერებსაც. ისიც კარგად ესმის თუ რას ავალებს მათ არსებული მდგომარეობა: სიფრთხილეს, სიფრთხილეს და კიდევ სიფრთხილეს!

არავითარი ავანტიურა, არც ერთი გაუფრთხილებელი, წინდაწინ გაუზომელი და მიზანშეუწონელი ნაბიჯი! დაჩაგრულმა ერებმა საბჭოთა ხელისუფლებას არ უნდა მისცენ რაიმე ისეთი საბაბი, რომელსაც შეიძლება მოყვეს ისედაც განაწამებ ხალხების სრული ფიზიკური მოსპობა. არა სეპარატიული გამოსვლები და კუთხური აჯანყებები საგარეო გართულებაში ჩაბმულ თუ მის წინაშე მდგომ ხელისუფლების წინააღმდეგ, არამედ საერთო მასიური მოძრაობის გამოწვევა და ადმინისტრატიულ აპარატების მოშლა სათანადო მომენტში მთელი კავშირის მასშტაბით, აი ერთად ერთი თავდები დაჩაგრულ ერთა განთავისუფლებისა, და აგრეთვე თვით რუსის ხალხის განთავისუფლებისაც, უმაგალითო ტირანიის კლანჭებიდან.

ბ. არეიმ.

გარდაუვალი ფატალიზმის მოლოდინში

დიდ ომს, საკმაო ხანია რაც დავშორდით, თუთხმეტიოდე წელმა განვლო, მაგრამ დღეს უფრო, ვინემ ოდესმე, ვგრძნობთ, თუ როგორ ჩაჰკლა მან მშვიდობიანობა. ეკონომიურ ევოლიუციას ეკონომიური რევოლიუციები მოჰყვა. ჯადოსნურათ აღვირი აიხსნა ინდუსტრიალურ ტექნიკამ, რომელიც ომამდე ევოლიუციური გზით მიმდინარეობდა, და ეს აღვირ ახსნილი მანქანა იძლევა არა იმდენს, რაც საჭიროა კაცობრიობის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ, არამედ ათჯერ—ოცჯერ მეტს. ზოგ სახელმწიფოებში ისე აქვთ წარმოდგენილი, რომ ეკონომიურ სიდუხჭირეს ბოლოს მოუღებენ, თუ კი სტერლინგი ან დოლარი ტექნიკასავით ათამაშდება და მათი ფასი ისე დაეცემა, რომ ვსთქვათ ნიუიორკის ქუჩის მათხოვარი ყოველ გამვლელს ხელს გაუწოდებს და სთხოვს: ესი დოლარი მაჩუქეო.

ომის დამთავრების პირველ წლებში ტექნიკის ძლევა-მოსილობითი განვითარება საშიშროებათ არავის მიაჩნდა. კიდევ მეტი: სამხედრო ტექნიკის ერთი ნაწილის ინდუსტრიალურ ტექნიკაზე გადასვლა ან ინდუსტრიალურ ტექნიკისადმი შეფარდება დიდ გამარჯვებათ იყო მიჩნეული. და მარლაც ომის პროცესში, საომარ მასალების დამზადებასა, თუ ომში ჩართულ ჯარის ჩაცმა-დახურვაში, მათთვის სანოვაგის დამზადებაში, სტრატეგიულ გზების გაყვანაში და ბევრ ასეთებში ინთქებოდა უდიდესი ნაწილი შექმნილ ღირებულებათა. მოქალაქე როგორც ასეთი იყო ჩაუცმელ-დაუხურავი, დამშეული მოხარშული ქართოფილის ან ცხენის ძვლის წვენის მონატრე. ომი ანიავებდა ქალაქებს, სოფლებს, გზებს, ხიდეებს, სადაც თვით ვერ წვდებოდა. ხუთი წლის მანძილზე მოუვლელობის, შეუკეთებლობის გამო ვინ უწყის რამდენი ღირებულება ათეულ წლობით შექმნილი დაიღუპა, გაპარტახდა. ამ ომის მანძილზე კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაზე ვინღა სჩიოდა. ომი დამთავრდა, დაიწყო აღმშენებლობის ხანა, ნანგრევებზე ახალი ღირებულებანი აღმოცენდა, კაცობრიობა ნორმალურ ცხოვრებას უბრუნდება.

ომში დემოკრატიამ გაიმარჯვა. მართალია ამ დემოკრატიის გვერდით, რუსეთის თვითმპყრობელობაც იყო გამოჭიმული, მაგრამ დიდი ხნით დემოკრატიას მხარი ვერ დაუმშვენა, ომსაც ჩამოშორდა და თვითმპყრობელობაც ჭირმა წაიღო. გამარჯვებას დიდი შედეგებიც მოჰყვა, სხვათა შორის ისიც, რომ აღსდგა მთელი რიგი ნაციონალური სახელმწიფოების, რომელნიც შეუდგნენ არა მარტო თავიანთ სახელმწიფოების მოწყობას, შეეცადენ ეროვნული ინდუსტრიის კულტურულათ მათზე მაღლა მდგომ სახელმწიფოების დონეზე აყვანას. დიდძალ ქვეყნებში დემოკრატიის სიძლიერე სხვა ერებსაც იმპულსს აძლევდა თავიანთი სახელმწიფოებიც დემოკრატიულათ მოეწყოთ. სახელმწიფოების აყვავება, კეთილდღეობა დემოკრატიის გაძლიერებას ხელს უწყობდა. ჩაისახა და იწყო განვითარება ისეთ დიდ საერთაშორისო დემოკრატიულ ორგანიზაციამ, როგორც

ნაციათა ლიგაა. ყენევა ძველ რომს დაემსგავსა. ძლიერი და ჩაგრული აქ იყრის თავს. ყველა აქედან მოელის შველას. ორმოცდაათი სახელმწიფოზე მეტი მის ირგვლივ გროვდება. ეს უდიდესი ტაძარია კაცობრიობის, ხოლო იმ განსხვავებით, რომ ტაძარმა სული უნდა იხსნას, აქ კი ხორციელი საკითხებია გადასაწყვეტი. მაგრამ როგორც იტყვიან, აღმართს დაღმართი მოსდევს, კეთილდღეობას შავი დღეები. როგორც ვსთქვით, წარმოება ჯადოსნურად ათამაშდა, მოთხოვნილებას გადააჭარბა. ყოველი სახელმწიფო აივსო ზედმეტ შექმნილ ნაწარმოებით და ამ ნაწარმოებს გასაქანი არ ეძლევა. ორი უდიდესი ბაზარი რუსეთი და ჩინეთი მოწინავე კაცობრიობის საქონლისთვის დაკეტილი შეიქნა ამ სახელმწიფოების გაღატაკების და საშუალო საუკუნოების მსგავსი არევ-დარევის გამო. ერთ ხერხსაც მიმართეს—დაგროვილ საქონლის დაწვას ან ვაგონებით ზღვაში გადაყრას. ასეთი ექსპერიმენტებს ორ-სამჯერ რომ გააკეთებ, ალბათ კარგი საყურებელია, მაგრამ ასეთი რამის სისტემათ გადაქცევა ხომ აბსურდია და ალბათ მის გამომგონლებმაც ამას თავი დაანებეს.

ომის შემდეგ პირველ წლებში მუშა ხელს ბლომათ ნთქავდა წარმოება. მას შემდეგ, რაც საერთაშორისო ბაზრები საქონლით გაივსო, უმუშევართა არმიამ განსაცვიფრებელი სისწრაფით იწყო ზრდა და ეს არმია სახელმწიფოებს აეკიდა, მათი საზრუნავი შეიქნა. მიუხედავათ ახალ რომის არსებობისა, სადაც ყველა საკითხები მშვიდობიანი გზით უნდა გადიჭრას, მომავალი ომის შიში მაინც არ ჩამქრალა. ერთი ძველი თქმულებაა: ომი თუ გინდა აიცილო, ძლიერი ჯარი უნდა გყავდესო. ამ დამტვერიანებულ დებულებამ ერთ დროს ომი გვარგუნა, მაგრამ როგორც იტყვიან, ჩვეულება რჯულზე უმტკიცესია. და დღეს ეს ჩვეულებაც უნაკლულოთ საღდება, დიდი თუ პატარა ერი ყველა იარაღში ეწყობა. მაგრამ დიდი ჯარების შენახვა, უზარმაზარ უმუშევართა არმიაზე ზრუნვა თუ სხვა სახელმწიფო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება აუტანელ ხარჯებს იწვევს. გასავალი იზრდება, შემოსავლის წყაროების გამონახვა ძნელდება. იშლება კრიზისი მთელი თავისი სიგძე-სიგანით. კრიზისს ან ბოლო უნდა მოუღო ან შეანელო, სანამ კატასტროფიული მდგომარეობა არ დადგება. ვფიქრობ შესაძლო იყო, თუ არა ბოლოს მოღება, მისი შენელება მაინც. საჭირო იყო გაბედული რეფორმები შინაურ პოლიტიკაში, შეთანხმებები საგარეოში. მაგრამ გაბედული ნაბიჯების მაგიერ გაუგონარ აბნეულობას ვხედავთ, ერთ ადგილზე მიწის ტკეპნას. აქედან ფართეთ წარმოიშვა მასების უნდობლობა დემოკრატიის მიმართ, უკმაყოფილების გაღრმავება-გაფართოვება. კრიზისის, უმწეო მდგომარეობის სათავე—დემოკრატიაა. ეს სათავე უნდა ჩაკლა, კრიზისი მოისპობა—აი ახალი ლოზუნგი. აქედან საფუძველი ეყრება ახალ მოძრაობას. რაც უფრო ირღვევა ცხოვრება, მით უფრო იბნევა მასა, შველას თუ სათავეში მდგომთა მხრივ ვერ ჰხედავს, ყველას ეპოტინება, ვინც შველას დაჰპირდება.

როგორც ომის შემდეგ პირველ წლებში დემოკრატია იმარჯვებდა, ისე უკანასკნელ წლებში დიქტატურა უმაგალითო საერთაშორისო ფაქტორათ ევლინება კაცობრიობას: განსაზღვრული პროგრამით, განსაზღვრული გეზით. საგარეო პოლიტიკაში დიქტატორთა პროგრამის შინაარსი თითქმის გახსნილია, მან უკვე ჯერ ფრთხილათ, მაგრამ ერთგვარი გეზის აღება იწყო. დიქტატურა უარყოფს ყოველივე იმას, რაც დემოკრატიული გზით კეთდება საგარეო პოლიტიკაში. მთავარ მტრათ ნაციათა ლიგაა აღიარებული. ერთა ლიგის მიერ აშენებული ყენევის საკაცობრიო ტაძარი ირღვევა. შენობა დარჩება, მაგრამ არა როგორც მშვიდობიანობის ტაძარი, არამედ როგორც მავზოლეუმი, სადაც ერთა ლიგა იქნება დამარხული.

არც ისაა შემთხვევითი მოვლენა, რომ საერთაშორისო პოლიტიკაშაში ინიციატივის სადავე დემოკრატიულ საფრანგეთ-ინგლისს უსხლტება ხელიდან და რომი-ბერლინი-მოსკოვის ხელში გადადის...

დაგროვილი წინააღმდეგობანი თითქო ფატალურათ ახალ კატასტროფისაკენ მიაქანებს კაცობრიობას. კაიომ ოდესღაც სთქვა, რომ დიდი ომი საპასუხისმგებლო მოღვაწეებს კი არ გამოუწვევიათ, არამედ მომხდარი ფაქტი იქნა მიღებულიო. რომელია ის სახელმწიფო მოღვაწე, რომელიც ომის წინ არ თრთოდეს, მის აუარებელ მსხვერპლზე, ან ომის შედეგებზე არ ფიქრობდეს, მაგრამ იმდენი ასაფეთქებელი მასალა დაშზადდა, რომ შესაძლოა ადამიანთა სურვილები უძლური შეიქნეს და მათი აფეთქება ვერ შეაჩეროს.

ამ დიდი ამბების მოლოდინში ქართველებს უწინარეს ყოვლისა გვმართებს, ჩვენ შორის არსებული უთანხმოებანი შევანელოთ ან თუ შესაძლოა მივივიწყოთ, რომ მომავალს ერთსულოვნათ შევხვდეთ.

ი. სალაყაია.

წერილი ამერიკიდან

ობლის კვერი ცხვა, ცხვა, გვიან გამოცხვა, მაგრამ კარგად გამოცხვაო. ეს სწორედ ნიუორკში მყოფ ქართველებზე ითქმის, განსაკუთრებით, მათ მანდილოსნებზე. რა საკვირველია, როგორც ამერიკელები იტყვიან, გაუმჯობესებისთვის კიდევ არის ალაგი, მაგრამ რაც ახლა ქართველ მანდილოსნებმა გააკეთეს, ღირს აღსანიშიავია.

ორი წლის წინედ ბ. პავლე კვარაცხელიას თავმჯდომარეობით აქ დაარსდა ქართველთა ასოციაცია, რომლის გარშემო შემოკრებილი იქნა ყველა ნიუორკში და მის მახლობლათ მყოფი ქართველობა, რიცხვით 45-მდე. ამ საზოგადოების გამგეობამ გამონახა სხვადასხვა ამერიკის კუთხეებში დაფანტული 15 ქართველი და გამართა მათთან მიწერ მოწერა. საზოგადოებამ თავის დროზე შინაურულად იდღესასწაულა ნინოობა და დამოუკიდებლობის დღე და სხ.

პირველი საჯარო გამოსვლა იყო 23 დეკემბერს. ეს იკისრეს ქ. თამარ ჯორჯიკია-კვარაცხელიას ინიციატივით ქართველთა მანდილოსნებმა. მათი რიც-

ხვი არ აღემატება 12-ს, მაგრამ საკვირველი იყო მათი ერთსულოვნება და მხნეობა, მიუხედავად სხვა და სხვა შემადგენლობისა (გარდა 5 ქართველ ქალისა მათ შორის აროიან ამერიკელი, ფრანგი, გერმანელი, ესტონელი, აისორი და რუსი). ჩვენმა ქალებმა განიზრახეს როგორმე მატერიალურად დახმარებოდენ პარიზში მყოფ ქართველ მანდილოსნების საზოგადოებას ქ-ნ ელენე აბხაზის თავმჯდომარეობით მათი კეთილშობილურ და დაუღალავ მუშაობაში ქართველთ ბავშვების სასარგებლოთ.

თავის ენერგიით და თავის მეგობრების დახმარებით ჩვენმა ქალებმა გამართეს ნიუორკის ერთერთ საუკეთესო დარბაზში მშვენიერი საღამო. მთელი პროგრამა შესრულებული იყო ბავშვების მიერ, ლოზუნგით «ბავშვები-ბავშვებისათვის». რადგან ქართველი ბავში აქ მარტო ექვსია, საღამოში მონაწილეობა მიიღეს ამერიკელ, უკრაინელ, პოლონელ და რუს ბავშვებმაც. წარმოდგენილი იყო ორ მოქმედებიანი საშობაო პიესა ინგლისურ ენაზე: «გზა-დაბნეული ბავშვები ტყეში». ოპერის მსგავსი პიესა იყო ლამაზად დადგმული კარგად მორთულ ზამთრის სცენაზე. მეტი ნაწილი პიესისა იყო სიმღერა-ცეკვა. უმთავრეს როლებს თამაშობდენ ნინო და ელისაბედ კვარაცხელიები (10 და 8 წლისა). პიესას მოჰყვა კარგად შედგენილი საკონცერტო განყოფილება: პიანინო, სიმღერები და ცეკვები. პიანინოზე მშვენივრად დაუკრეს პოლონელ გოგომ დვორჟიაკიმ და უკრაინელ ვაჟმა ბოიჩენკომ. გრძნობიერად იმღერეს ამერიკელ დებმა ვეიკებმა, მშვენიერად იცეკვა ბალეტი გედა პეტრიმ. ქართველ ბავშვებიდან მონაწილეობას ღებულობდენ: ნინო, რომელმაც კარგად შეასრულა რუმინული ცეკვა და ელისაბედი, რომელმაც ლამაზათ ითამაშა ბალეტი და ირლანდიური ცეკვა.

მაგრამ ყველა ქართველები გაფაციცებით მოელოდენ პროგრამაში აღნიშნულ ლეკურს. და აი სცენაზე გამოხტა თეთრ ჩოხაში, თეთრ ქუდში, წუღა-მესტებში და შავ ქამარ-ხანჯალში ლამაზად მორთული ვაჟის მსგავსი ნინო. მას მოჰყვა, მის მიერ ქართულ ჩვეულებით თავის დაკვრით, სცენის გვერდიდან გამოწვეული ქართულ ლეჩაქში და ცისფერ კაბაში, გძელი თმიანი, კოხტათ მორთული პატარა ელისაბედი. მთელი დარბაზი აღტაცებით შეხვდა. ქ-ბ ქიქოძე უკრავდა პიანოზე ლეკურს. მასთან მოუთმენელ ქართველებმა ადგილიდან ხელით ტაში ტაში დაუკრეს და მერე მთელი დარბაზი უცხოელებისაც ტაშს უკრავდა და ლამაზად მოთამაშე ბავშვებს ვაშას უძახოდა. ქართველების სიამოვნებას საზღვარი არ ქონდა. წლების განმავლობაში სამშობლოს მოწყვეტილებმა ქართულად ჩაცმული ლეკურის მოთამაშე ბავშვები პირველათ ნახეს ამერიკის სცენაზე. ბავშვებმაც გადააჭარბეს მოლოდინს, ევროპიულ ცეკვის სკოლის მოწაფეებმა ლეკურიც ჩინებურად ითამაშეს. არა ნაკლებ ქართველებისა მოეწონათ ამერიკელებს როგორც ცეკვა ისე ტანისამოსიც.

შესრულდა კიდევ რამდენიმე ნომერი მდიდარი პროგრამისა და ბოლოს ფარდა უკანასკნელად აიწია და საზოგადოება ისევ დიდი ტაშით შეხვდა ცოცხალ სურათს: ქართველი დედა ბავშვებთან. ლამაზი ქ-ბ ოლღა სხირტლაძე-ქებარდინისა თეთრი, წმ. ნინოს სამოსელის მსგავს ქიტონში იდგა და ხელებით ჰფარავდა მის მარჯვნივ და მარცხნივ მდგომ და მას თვალებში შემყურე ქართულად გამოწყობილთ ნინოს და ელისაბედს...

12 საათი იყო, რომ უკანასკნელად ფარდა დაეშვა, მაგრამ მეტად ნასიამოვნი ხალხი არ იშლებოდა. გაიმართა ლატარეა და ვახშამი საღამოს ფონდის სასარგებლოდ. ლატარეაში მოგებული უმთავრესი ნივთები ბ. ვასილ დუმბაძემ საღამოს ინიციატორს და გამგეს ქ-ბ თამარ კვარაცხელიას მიართვა.

წმინდა შემოსავალი, დიდი ხარჯის გასწორების მერე, დარჩა ასი დოლარი (100 დ.), რომელიც უკლებლად ქ-ბ ელენე აფხაზისას ეგზავნება.

ნაური.

უკრაინელთა ცხოვრებიდან

(წერილი პრაღიდან)

გასული წლის შემოდგომაზე აქ შესდგა კომიტეტი დამშეული უკრაინის დასახმარებლათ. კომიტეტში შედიან წარმომადგენელნი უკრაინის ემიგრაციის ყველა დემოკრატიული და სოციალისტური ჯგუფების და პარტიების, რომლებიც უკანასკნელ ხანამდის ძალიან დაქსაქსულნი იყვნენ და რომლებიც ძალიან სწრაფათ გააერთიანა და ერთ ფრონტში ჩააყენა სამშობლოდან მოსულმა სასოწარკვეთილების ხასიათის ამბებმა შიმშილობის შესახებ. კომიტეტმა დაუგზავნა მიმართვა როგორც ევროპაში, ისე ამერიკაში მცხოვრებ თანამემამულეებს, რომ დაეხმაროონ ვისაც რით შეუძლია დედა სამშობლოს, რომელიც მოსკოვის ოკუპაციამ ასეთ განსაცდელში ჩაგდო ეს ერთ დროს «ქვეყნის ბეღელი». კომიტეტი სისტემატიურათ აქვეყნებს საინფორმაციო ბიულეტენებს, სადაც ფაქტებით და დოკუმენტალურათ სახელისა და გვარის დასახელებით ჩამოთვლილია სიმშილის მსხვერპლნი. იქვე ვეცნობით ფოტოგრაფიულ სურათებზე მთელ რიგ გულშემზარავ მოვლენებს; ეს სურათები გამოტანილია უცხო ჟურნალისტების მიერ ევროპაში. პრაღაში გამოდის ჩეხურ ენაზე ჟურნალი «შიმშილი უკრაინაში», რომლის დანიშნულებაა თავი მოუყაროს ყველა ცნობებს გამოქვეყნებულს თუ გამოსაქვეყნებელს, რომ ააჯანყოს კაცობრიობის სინდისი უკრაინაში ამ ჟამათ დატრიალებული ტრაღედიის გამო. ამ ჟურნალის 1-2 ნომრებში მოთავსებულია ვრცელი ღია წერილი ერიოსადმი, რომელიც ეკუთვნის ხსენებული კომიტეტის თავმჯდომარის, უკრაინელი პუბლიცისტის პროფესორ ბაჩკოვსკის კალამს. ეს წერილი უკვე გადაბეჭდილი იყო ზოგიერთ გაზეთებში; ჩვენ აქ მოგვყავს მხოლოთ შემდეგი პატარა ადგილი:

«უკრაინის სატახტო ქალაქ ხარკოვში, თქვენ პატივცემულო ბატონო, გაზეთების სიტყვით მოგესალმათ აღფრთოვანებული ხალხის მასა, მიუხედავათ იმისა, რომ იყო კოკისპირული წვიმა. მე არ ვიცი, ვინ მოგესალმათ თქვენ, მოწყალეო ხელმწიფევ, კიე-

ვში და ხარკოვში. ვიცი მხოლოთ, რომ ეს არ იყო «vox populi» ბოლშევიკური ოკუპანტების მიერ დამონებული და გაძარცული უკრაინისა. თუ თქვენ გსურდათ გაგეგოთ უკრაინელი ხალხის ნამდვილი ხმა, თქვენ უნდა დაგეთვალიერებიათ ამოწყვეტილი სოფლები, სოლოვკის კუნძულები, გადასახლების ადგილები საბჭოთა კავშირში, თქვენ უნდა მისულიყავით ციხეებში და გენახათ საწამებელი ადგილები კაციჭამია ბოლშევიკი ჩეკისტების, რადგან მხოლოდ იქ ისმის ნამდვილი ხმა უკრაინის ერის, რომელსაც სტანჯავენ და აწამებენ წითელი ჯალათები. თქვენ უნდა დაგეთვალიერებიათ ყველა სასაფლაოები და გათხრილები, სადაც ჩაგდებულია ათასობით უკრაინელი ინტელიგენტი, გლეხი და მუშა. წარმოიდგინეთ, ბატონო, რომ ყველა ეს ცოცხლები და მკვდრები—მსხვერპლნი ბოლშევიკური ტეროორის, რომლების ერთათ ერთი დანაშაული იყო სიყვარული და ერთგულება თვის სამშობლოსადმი, წარმოიდგინეთ, რომ ყველა ესენი ერთათ დაგროვდნენ და წამოიშალნენ თქვენს შესახვედრათ. არ ვიცი, კიევის და ხარკოვის ქუჩები დაიტევდნენ თუ არა ამ სამგლოვიარო პროცესიას. მოსმენა და გაგება მათი ტანჯვა წამების განცვიფრებაში მოიყვანდა თვით დანტესაც. არ ვიცი, გექნებოდათ თუ არა ამის შემდეგ გაბედულება ასეთი აღფრთოვანებით გელაპარაკათ ბოლშევიკური შესაძლებლობის და პროგრესის შესახებ?» წერილის ავტორი თანდათანობით აბათილებს ერიოს აღფრთოვანებას და ათავებს: «არ შემიძლია წარმოვიდგინო, რომ თქვენ, მეგობარს და მოციქულს ახალი ევროპისა, გსურდეთ, თუ გინდ შემთხვევით, დარჩეთ მოსკოვის მოკავშირე უკრაინის ამ სისხლიან დარბევის დროს...»

უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ უკანასკნელ ხანს ხდება მეტათ სასიამოვნო კონცენტრაცია უკრაინის ემიგრაციის ყველა სასიცოცხლო ძალების, რაც ჩვენთან კერძო საუბარში დაგვიმოწმა უკრაინის ერთ ერთმა თვალსაჩინო მოღვაწემ. პრაღა კი თავიდანვე იყო და არის უკრაინის ემიგრაციის უპირველესი ეროვნული და კულტურული კერა, აქ მათ მიეცათ საშვალება, პრეზიდენტ მასარიკის აშკარა მხარის დაჭერის წყალობით, დაეარსებიათ მთელი რიგი უმაღლესი და საშუალო სასწავლებლების და შეექმნათ სამეცნიერო სემინარიები, მომზადდა დიდი კადრი ახალგაზდობის და საშუალება მიეცა ბევრს დაწინაურებულიყო სამეცნიერო დარგში.

არსებობს მეგობრული კავშირი ქართველ ემიგრაციასთან და საზოგადოთ ქართველებს სათანადო ყურადღებით და პატივისცემით ეპყრობიან.

ელ.

უკრაინელთა შორის

აგერ ოთხი წელია, რაც უკრაინის სამღვდელოელოების რწმუნებული პირი მ. ბაჩინსკი, აქვეყნებს ყენევაში ბიულეტენს «ეკლესიის» სახელით უკრაინულ და ფრანგულ ენაზე. ის იძლევა ხშირათ ფრიად საყურადღებო ცნობებს მართლ მადიდებელ ეკლესიის მდგომარეობაზე. თავის 94 ნომერში, აღნიშნავს რა სიამოვნებით მღვდელ მ. გრ. ფერაძის ვარშავის უნივერსიტეტის მიერ თეოლოგიურ ფაკულტეტის კათედრის დაჭერას, მხურვალეთ ესალმება ამ ამბავს და უსურვებს მ. ფერაძეს წარმატებას.

აღსანიშნავია აგრეთვე ამ ბიულეტენში გამოქვეყნებული ამერიკაში უკრაინელთა ეპისკოპოსის ჯონ თეოდოროვიჩის აღგზნებული მოწოდება უკრაინაში შიმშილობის და დევნა-ყლეტის შესახებ, სადაც ბევრი საყურადღებო ფაქტია მოყვანილი.

— უკრაინის მთავრობამ გადაწყვიტა კიევში დაბინავდეს, რომელიც გამოცხადდება სატახტო ქალაქად ნაცვლად ხარკოვისა, რომ ამით განთავისუფლდეს უკრაინელ ნაციონალისტების გავლენისაგან.

— ვარშავის უნივერსიტეტში არსდება უკრაინის ენის, ისტორიის და კულტურის კათედრა.

— უკრაინის კომუნისტური პარტიის მთავარმა მდივანმა კატაევიჩმა გამოაქვეყნა დოკუმენტები, რომლებიც ეხებიან გერმანიის განზრახვებს უკრაინის მიმართ. გერმანიის მინისტრს გერინგს მოლაპარაკება ჰქონდა გერმანოფილ უკრაინელების ხელმძღვანელთან კონოვალეცთან და ეს მოლაპარაკება დამთავრდა წინასწარი შეთანხმებით: გერმანია დაეხმარება უკრაინას დამოუკიდებლობის აღსადგენად, ხოლო სამაგიეროთ მას უნდა მიეცეს ერთგვარი კანტროლი უკრაინის ჯარსა და საგარეო პოლიტიკაზე; ამასთანავე უნდა მოხდეს შეთანხმება უკრაინის მრეწველობასა და გერმანიის სამეტალურგიო ინდუსტრიას შორის.

— კომუნისტები დიდს ყურადღებას აქცევენ იმას, რომ ეროვნული მოძრაობა გარდა უკრაინისა ფართოდ ვრცელდება ბელორუსიაშიც და იქაური ნაციონალისტები მოითხოვენ რუსეთისაგან სრულს ჩამოშორებას.

თურქეთის ცხოვრება

როგორც ჩვენმა მკითხველებმა უკვე უწყიან, თურქეთის მთავრობა შეუდგა ხუთწლიანი გეგმის განხორციელებას რესპუბლიკის ინდუსტრიალიზაციისთვის. სახელმწიფო ეკონომიის მინისტრმა ჯელალ ბეიმ სტამბოლის ჟურნალისტებს ასე განუმარტა ამ გეგმის შინაარსი და მნიშვნელობა: «ორმა გარემოებამ გვაიძულა შევდგომოდით ინდუსტრიალიზაციას. ერთია ის, რომ აუცილებელია საკუთარი საშუალებებით დავიკმაყოფილოთ ჩვენი მოთხოვნილებანი როგორც მშვიდობიანობის ისე ომის დროს; მეორე ის, რომ უნდა მოვუპოვოთ ბაზარი ჩვენებურს საქონელს, რომლის ექსპორტი ძალიან შემცირებულია მას შემდეგ, რაც ყველა ქვეყანა ცთილობს საკუთარ აგრიკულტურის განვითარებას. ჩვენს საინდუსტრიო პროგრამაში მთავარი ადგილი უკავია მანუფაქტურულ ნაწარმოებთა დამზადებას, რაიც ამავე დროს გაასწორებს ჩვენს სავაჭრო ბალანსს. ეს შეავსებს იმ 25-30 მილ. დეფიციტს, რომელიც გვაქვს ჩვეულებრივად საგარეო ვაჭრობაში. ჩვენ შევუდგებით დაუყონებლივ დიდი საქსოვის მოწყობას კაისერში, რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელიც დაიწყებს მოქმედებას მომავალი წლის დამდეგს. მეორე საქსოვი გაიხსნება ამავე წელს ნაზილში, მესამე მალატიაში სამი წლის შემდეგ. სტამბოლში უკვე არსებული ქარხანა იქნება გაფართოვებული. ამავე დროს ადგილი დაეთმობა კერძო ინიციატივასაც ქსოვილების დასამზადებლად ადგილობრივი საჭიროებისათვის. საქსოვებში დღეს მუშა ხელი აღწევს 127 ათასამდე. ეს რიცხვი გაიზრდება სამჯერ თუ მეტად, როცა გაიხსნება ახალი ქარხნები. ასე განვითარებულ საქსოვ. მრეწველობისთვის საკმაო არ იქნება ის ბამბა, რომელიც დღეს მოდის ჩვენში, ამიტომ საჭირო გახდება ბამბის ნათესების გადიდება, რაც ხელს შეუწყობს სასოფლო მეურნეობის განვითარებას.

თუმცა თურქეთი კანაფის ქვეყანაა, ჩვენ ყოველგვარი საბელი, ტომრები და სხვა ასეთი საქონელი თითქმის სულ უცხოეთიდან შემოგვაქვს. ამის თავიდან ასაცილებლად კანაფის დასამუშავებელი ქარხნები გაიმართება იზმირში, ქუჩუკმენდერესში და კასტამუნში.

მაგრამ ვიდრე ჩვენ არ შევქმნით რკინეულობის ინდუსტრიას, შეუძლებელია ფიქრი მრეწველობის სხვა დარგებზე. რკინა უპირველესი საჭიროება ერის არსებობისათვის. ხოლო უწინარეს უნდა გვექნეს კოკსი, რომელმაც უნდა კვებოს მაღალ ღუმელიანი ბრძმედები. გამოკვლევამ დაგვიმტკიცა, რომ ჩვენი ქვანახშირისაგან შეგვიძლია მივიღოთ ასეთი კოკსი. ბრძმედებს ავაგებთ კასტამუნსა და ზონგულდაკში. ამასთანავე ერთად ჩვენ უნდა განვავითაროთ ქვანახშირის წარმოება და მივაჩვიოთ ჩვენი ხალხი შეშის მაგიერ იხმაროს ქვანახშირი.

ჩვენ ყოველ წელიწადს სამასი ათასი თურქული ლირის გოგირდს ვყიდულობთ იტალიაში, მაშინ როდესაც შეგვიძლია ვიქონიოთ საკუთარი გოგირდი. ამისთვის შევუდგებით სპარტის და კუტაიას სამადნეების დამუშავებას.

ასევე დავაკმაყოფილებთ კარტონის და ქაღალდის მოთხოვნილებას. მომავალ წელს ამუშავდება იზმირში ქაღალდის დიდი ქარხანა, რომელიც სანახევროდ დააკმაყოფილებს ჩვენს საჭიროებას.

შევუდგებით აგრეთვე ხელოვნური აბრეშუმის, შუშეულობის და თიხეულის და ქიმიური მრეწველობის მოწყობას და მთელი ანატოლიის ელექტროფიკაციას. მთავრობას განზრახული აქვს, რომ მთელი ამ საქმისთვის მოითხოვოს ამ წლის დამდეგს საჭირო კრედიტი, 42 მილ. თურქ. ლირა».

— თურქ სტუდენტთა ეროვნულმა კავშირმა სტამბოლში დიდი მანიფესტაცია მოაწყო ადგილობრივ ნაწარმოებთა სასარგებლოთ. მიტინგზე მოლაპარაკენი ამბობდენ, რომ თურქეთი ეკონომიურად უნდა განთავისუფლდეს უცხოეთისაგან, უნდა შეექნათ ჩვენი საკუთარი მრეწველობა და მოვიხმაროთ მხოლოდ ჩვენში გაკეთებული საქონელი. სტუდენტებმა დროშებით და ეროვნული ჰიმნის სიმღერით გაიარეს ქუჩებში და ყველას უქადაგებდენ იყიდეთ ამიერიდან მხოლოდ ადგილობრივი ნაწარმოები. ერთ სინემასთან რომ გაიარეს, რომელსაც სახელად «არტისტიკ» ერქვა, მოთხოვეს მის პატრონს სახელის შეცვლა თურქულზე.

— სტამბოლის ებრაელები განაგრძობენ დიდს პროპაგანდას თურქული ენის და კულტურის სასარგებლოთ. მართავენ სხვადასხვა ადგილებში მიტინგებს, კრებებს, საუბრებს და მოუწოდებენ თანამორწმუნეთ, რომ ჩვენი დედა ენა უნდა გახდეს თურქული, ებრაელ ბავშის პირველი სიტყვები უნდა იყვეს თურქული «ბაბა» (მამა) და «ანნე» (დედა), რომ ყველაზე მეტად უნდა შეიყვაროთ ჩვენი სამშობლო თურქეთიო. ებრაელი ორატორები მოუწოდებენ მსმენელთ სულით და გულით შეიყვარონ თურქეთი და თურქები და ერთმა მოაგონა საზოგადოებას თურქთა დახასიათება ზია გექალპ ბეის მიერ: «ყველა დიდ ერს თავისი ადგილი აქვს ცივილიზაციაში. ძველ ბერძნებს ეკუთვნის ესთეტიკა, რომაელებს უფლება, ებრაელებს და არაბებს სარწმუნოება, ფრანგებს მწერლობა, ანგლო-საქსონებს ეკონომია, გერმანელებს მუსიკა და მეტაფიზიკა, ხოლო თურქებს მორალი (ზნეობა)».

— სტამბოლის უნივერსიტეტში ამ ქამად ირიცხება 3.514 სტუდენტი, ამათში 1.147 მეცნიერებათა ფაკულტეტზეა, 1.133—უფლების, 887—მწერლობის და 374—საექიმო ფაკულტეტზე.

— თურქეთის საზოგადოება დიდი თანაგრძნობით შეხვდა აღმოსავლეთ (ჩინეთის ნაწილი იყო) თურქესტანის დამოუკიდებლობის გამოცხადებას. «თურანის» საზოგადოების თავმჯდომარემ სახალხო სახლში ლექცია წაიკითხა ახალი სახელმწიფოს ისტორიისა და გეოგრაფიის შესახებ, რომელსაც მრავალი ხალხი დაესწრო.

— მთავრობამ გადასწყვიტა ბაკი დაადვას გამომცხვარ პურს. ფიქრობენ, რომ მარტო სტამბოლში ეს ბაკი შემოუტანს ხაზინას წელიწადში მილიონ ნახევარზე მეტს თურქულ ლირას.

— გაზეთ «ახშამის» სიტყვით, ამ ხანად ბულგარეთში იმყოფება სულთან აბდულ ჰამიდის შვილი აბდულ კადირი, რომელსაც ურთიერთობა აქვს თურქ ოპოზიციონურ წრეებთან.

— ამას წინად ცენტრ. აღმასრულ. კომიტეტში წარმოთქმულ ლიტვინოვის სიტყვის გამო თურქეთის გაზეთები კიდევ ერთხელ აღტაცებით აღნიშნავენ საბჭოთა და თურქეთის მეგობრობას. გაზეთი «ახშამი» სწერს: «თუ თვალს გადაავლებთ გასულ წელს, დაინახავთ, რომ მაშინ როდესაც მთელი ქვეყანა შფოთავს და ღელავს, საბჭოებმა და თურქეთმა უდიდესი სამსახური გაუწიეს მშვიდობიანობის საქმეს. ამას ცხადად ღაღადებს ის ფაქტი, რომ ჩვენმა მეგობრებმა საუკეთესო ურთიერთობა დაამყარეს საფრანგეთსა და ამერიკასთან, რომ თურქეთი და საბერძნეთი მშვიდობიანობას ამყარებენ ბალკანეთში, რომ რუსეთ-თურქეთის თანამშრომლობის წყალობით გარკვეულ იქნა მცნება თავდამსხმელი. სახალხო კომისარმა ლიტვინოვმა კვლავ ხაზი გაუსვა, თუ რა ღირებულება აქვს რუსეთ-თურქეთის მეგობრობას მაშინ, როცა მთელი ქვეყანა რყევაშია. ჩვენი მეგობრები დარწმუნებულნი უნდა იყვნენ, რომ ესეთი სიტყვები ღრმად წვდებიან ჩვენს გულს».

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გაზეთი «კუმურიეთის» სიტყვით, თურქეთ-რუსეთის მეგობრობა სანიმუშო უნდა იყოს მთელი კაცობრიობისთვის. «ჩვენ ვიცით, განაგრძობს გაზეთი: ჩვენი მეზობელი ს. ს. რ. კ. დიდი ქვეყანაა და დიდი ერი. ეს ხომ მთელმა ქვეყნიერებამ აღიარა. ჩვენ ვიცით, რომ ამხანაგ ლიტვინოვის სიტყვები «თურქეთის დიდი რესპუბლიკა» არის ნიშანი პატივისცემისა ჩვენი მეგობრობის სიმტკიცისა და გულითადობის მიმართ».

კვლავ მოვაგონებთ ხელის მომწერლებს
და აგენტებს,
რომ გაასწორონ ანგარიში და წარმოადგინონ
მათზე დარჩენილი ფული.

თურქესტანი

ტურქესტანის ეროვნულ მოძრაობის ორგანო «იაშ თურქესტან»-ი ეხება ოსმალეთის რესპუბლიკის ათი წლის თავს და აგვიწერს, თუ როგორ შეხვდა ამ მოძმე ერის თავისუფლების დღესასწაულს თურქესტანის საბჭოთა პრესა.

«არც ერთ თურქესტანელ გაზეთს—სწერს «იაშ თურქესტან»-ი—არ აღუნიშნავს ოსმალეთის დამოუკიდებლობის დღე; არც ერთ გაზეთს არ მიუძღვნია ამ ეროვნულ დღისათვის არც ერთი პწკარი თავისი საკუთარი განცდების, თუ, რასაკვირველია, სახეში არ მივიღებთ მოსკოვის «იზვესტიიდან» და «ტაასის» სააგენტოსაგან გადმობეჭდილ, ტელეგრაფით გადმოცემულ მოკლე ცნობებს. ხოლო «ტასის» სააგენტოს ცნობა კი ისეა მოყვანილი, რომ გეგონებათ ოსმალეთის ეროვნული დღეობა თითქოს მოწყობილი იყო არა ეროვნულ ზეიმისათვის, არამედ საბჭოთა მაღალ სტუმრების შესახვედრათ.

საბჭოთა თურქესტანის დუმილს მოძმე ერის ზეიმის დროს გაზეთი ხსნის ორი გარემოებით: ერთი—რუსეთმა, რომელიც ვითომცდა ოსმალეთს «გულითად მეგობრათ» ითვლება, გაუვალი კედელი აღმართა მის ფარგლებში მომწყვდეულ მუსულმანობასა და თავისუფალ მუსულმანურ ქვეყნებს შორის. ამ კედლის აღმართვაში და მის დამაგრებაში განაწამები ხალხი თავის წილს უდებს ოსმალეთის დღევანდელ რუსულ პოლიტიკასაც. მეორე—გაბლავთ ის დევნა, რომელსაც აწარმოებს ბოლშევიზმი თურქესტანში ყოველგვარ ოსმალურ სიმპატიების წინააღმდეგ და მას ნათლავს პან-თურანისტულ «გადახრებათ».—აი ამ ორი მთავარი მიზეზის გამოა, რომ საბჭოთა თურქესტანი სდუმს და მის მოძმე ერს ოსმალეთს ვერ ულოცავს თავისუფლების დღეს. ეს დამაფიქრებელი მოვლენაა და მას უნდა ჩაუკვირდენ ჩვენი მოძმენი».

აბელ შევალეს დაკრძალვა

2 იანვარს სოფ. შანსეში (ტურიდან 17 კილომეტრის მანძილზეა) მოხდა დაკრძალვა საქართველოში საფრანგეთის ელჩად ნამყოფ განსვენებულ აბელ შევალეს ცხედრისა.

გარდაცვალების ცნობის მიღებისთანავე საქარ. მთავრობის თავმჯდომარემ ბ-ნ ნ. ყორდანიამ ქვრივს გაუგზავნა სამძიმრის დეპეშა.

მეორე დღეს დილის რვა საათზე კი დაკრძალვაზე დასასწრებათ პარიზიდან გაემგზავრენ ბ ნი ა. ჩხენკელი და ოფისის მდივანი ი. გოგოლაშვილი.

ბ-ნმა ჩხენკელმა საუცხოო გვირგვინით შეამკო განსვენებულის კუბო. შევალეს ქვრივი ნათესაური გრძნობით მიეგება ბ ნ აკაკი ჩხენკელს, რომელმაც ანუგეშა იგი და მხურვალე სამძიმარი გადასცა საქართველოს სახელით.

დაკრძალვას დიდძალი საზოგადოება დაესწრო, როგორც ადგილობრივი, ისე პარიზიდან და სხვა ადგილებიდან საგანგებოდ ჩამოსული.

ბინაზედ მგრძნობიარე სიტყვა წარმოსთქვა პასტორმა (განსვენებული შევალე იყო პროტესტანტი). მან წაიკითხა მთავრობის თავმჯდომარის ბ-ნ ნ. ყორდანიას დეპეშა და აღნიშნა, რომ ბ ნი შევალე ღირსი იყო ასეთი დიდი პატივისა, რომელიც სცა მას ამჟამად დაჩაგრულმა კეთილშობილმა ქართველმა ხალხმა და მისმა ეროვნულმა მთავრობამ, ვინაიდან ბ-ნ შევალემ უკანასკნელი წლები თავისი დიპლომატიური მოღვაწეობისა მოანდომა ამ მშვენიერ ქვეყანას და მისი ინტერესების დაცვას საფრანგეთის მთავრობის წინაშე.

სასაფლაოზე სიტყვები წარმოსთქვეს ადგილობრივმა მერმა და ერთ ერთ კოლეჯის პროფესორმა მისმა ამხანაგმა. ამათაც დიდი ყურადღება მიაქციეს იმ თანაგრძნობას, რომელიც ქართველობამ გამოუცხადა მიცვალებულს...

ვლადიმირ სოსელიას გარდაცვალება

როგორც თეჰერანიდან გვატყობინებენ, გასული წლის 22 დეკემბერს იქ გარდაცვლილა ჩვენი თანამემამულე, ყოფილი მასწავლებელი, ემიგრანტი ვლადიმირ სოსელია. დასაფლავება მოხდა 24 დეკემბერს, რასაც დაესწრო თეჰერანის მთელი ქართველობა.

დავით მხეიძე

ყოფილი აფიცერი ქართველი ჯარისა, შეპყრობილი განუკურნებელ სენით, მოთავსებული იყო სულით ავადმყოფთა საავადმყოფოში «ნეი სურ მარნ»-ზე. იქ ორშაბათს 22 იანვარს იგი დააღრჩო მეორე გადარეულმა. განსვენებული იქვე დაკრძალეს.

პოლონური ჟურნალი

«ვეფ. ტყაოსნის» რუსულ გამოცემის შესახებ.

ბ. დავით ხელაძის მიერ რუსულად გამოცემულ «ვეფხის ტყაოსანს» შემდეგი წერილი უძღვნა პოლონურმა ჟურნალმა («აღმოსავლეთი» № 3-4, დეკემბერი 1933 წ. ვარშავა):

« .... თვით გარეგნული სახე ამ მონუმენტალური ტომის არაჩვეულებრივს შთაბეჭდილებას ტოვებს. ფორმატი, ქაღალდი, ილუსტრაციები, მოკაზმულობა,—ამასთანავე თვითეული გვერდი მოკაზმულია სხვადასხვა ვინიეტებით—ყოველივე ეს იმის მთქმელია, რომ ეს წიგნი არ არის ნაყოფი ჩვეულებრივ გამომცემლობის მოქმედების, არამედ ნაყოფი ერთგვარი აქტის—ნაკარნახევი მხურვალე პატრიოტიზმით—გაქღენთილი სიყვარულის დიდი გრძნობებით.

და მართლაც, ამ წიგნის პარიზში მოვლინებას, ემიგრაციაში—აქვს თავისი ლამაზი ისტორია, რომლის შესახებ ღირს რამდენიმე სიტყვა ითქვას.

ჭეშმარიტად! არავინ სხვა გარდა ქართველი ემიგრანტისა და ამასთანავე რაც სპეციალურათ ხაზგასასმელია—მუშამ, პროფესიით ასოთ-ამწყობმა დავით ხელაძემ საკუთარი ინიციატივით დაიწყო და საკუთარი ხარჯით და შრომით შეასრულა ეს საქმე, საყურადღებო როგორც პატრიოტულის მხრივ, აგრეთვე არტისტულის.

საკმარისია მოვიყვანოთ ის საერთო თანხა, რომელიც ჩასდო ამ გამომცემლობაში ჩვეულებრივმა ემიგრანტმა და მუშა-მესტამბემ, რომ დავაფასოთ ბ. დ. ხელაძის თავდადება: ეს თანხა 40.000 ფრანკია. მატერიალური შესაძლებლობანი ამ საქმის განსახორციელებლათ ხომ ყველაფერს არ შეადგენდა. კიდევ მეტი იქნა ჩადებული ამ გამომცემლობაში მორალური და არამატერიალური ღირებულებანი და ნიშნები ამ ღირებულებათა ნათელია თვითეულ გვერდზე, წიგნის ყოველგვარ დეტალზე. შეიძლება ითქვას, რაღაც თავისებური aura პატრიოტიზმის, სიყვარული ეროვნული მშვენიერებისა, ისტორიის და კულტურის გარს ახვევია და გაქღენთილია წიგნი,—და ეს ქმნის, ასე ვთქვათ, მის «ატმოსფერას»...

შემდეგ ავტორი ლაპარაკობს გმირ კავკასიის და საქართველოს წარსულზე, მის მითოლოგიაზე და ლეგენდებზე, კავკასიის იმ როლზე, რომელსაც ის თამაშობს დასაბამიდან აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ..

ბალმონტის თარგმანი არ მოსწონს, რადგანაც მონუმენტალურ თხზულებას უეჭველი თავისი სული, თავისი სტილი აქვს, რის გადმოცემას ბალმონტიც კი ვერ შესძლებდაო...

შემდეგ ნომერში რუსთაველის სურათი იქნება და სპეციალური წერილი თვით თხზულებაზე *).

*) ჟურნალ «აღმოსავლეთის» ერთ ერთ რედაქტორთაგანია ჩვენი თანამემამულე ბ. კ. იმნაძე.

პრესსა

«პრომეთე»ს უკანასკნელ ნუმერში დაბეჭდილია წერილი ამერიკულ გაზეთის «ნიუ-დემოკრატ»ის რედაქტორის Brougham-ის, რომელიც დაუგზავნა შეერთებულ შტატების საგარეო საქმეთა სამინისტროს და სხვადასხვა გამოჩენილ პოლიტიკურ მოღვაწეებს. ამერიკელი ჟურნალისტი ურჩევს თავის თანამემამულეებს მხარი დაუჭირონ არა მთლიან რუსეთს, არა ხელოვნურად და ძალდატანებით შეკოწიწებულ სახელმწიფოს, რომელსაც წარმოადგენს საბჭოთა კავშირი, არამედ კავკასიის, უკრაინის და სხვა ერთა დამოუკიდებელ სახელმწიფოებრივ არსებობას, რომლებიც უფრო ცხოველმყოფელნი არიან. ავტორი ამბობს, სხვათა შორის:

«პატარა ერებს მეტი უპირატესობა აქვთ შედარებით დიდებთან. პატარა ერში ყოველთვის მეტია ურთიერთის გაგება; იქ ინდივიდუალური ძალა და ნიჭი დაფასებულია და გამოყენებული; მოქმედება, შრომა, მუშაობის მეთოდი უფრო ინტენსივურია. ყველამ უწყის, რომ პატარა სასოფლო მეურნეობა გაცილებით უფრო ნაყოფიერია, ვიდრე დიდი.

გერმანიამ, ვიდრე გაერთიანდებოდა და დიდ სახელმწიფოდ იქცევოდა, ორი უდიდესი პოეტი მოგვცა გიოტე და შილერი. ძველმა საბერძნეთმა უმაღლეს კულტურას მიაღწია, თუმცა ღა დანაწილებული იყო პაწია სახელმწიფოებად».

Brougham-ი ღრმად დარწმუნებულია, რომ რუსეთში მომწყვდეული დაჩაგრული ერების რევოლუცია დღითი დღე ახლოვდება და შორს არაა ის დღე, როცა დაემხობა ისტორიაში არ გაგონილი პოლიციური ტირანია.

ამ წერილს ბევრი მოღვაწე გამოეხმაურა და მხარი დაუჭირეს ავტორის აზრებს.

ქართველები ვარშავაში

იანვრის 6 ვარშავაში გაიმართა ჩვეულებრივი ქართული ბალი, რომელსაც მრავალი საზოგადოება დაესწრო. იყვნენ პოლონელ საზოგადოების სხვა და სხვა მაღალ წრეებიდან, ესტონეთის ელჩი, თურქეთის საელჩოს პირველი მდივანი, იაპონიის საელჩოდან შვიდი-რვა წარმომადგენელი, წევრები უკრაინელთა და ჩვენი მეზობლების კალონიების.

— ლაპარაკობენ, რომ ვარშავის უნივერსიტეტში დაარსდება აღმოსავლეთის ფაკულტეტი და ერთ-ერთ პროფესორად მოწვეულ იქნება მ. გრ. ფერაძეო.

— მ. გრ. ფერაძე, ჯერ კიდევ 34 წლის, მსოფლიო პატრიარქის ეგზარხოსმა მიტროპოლიტმა გერმანოზმა არქიმანდრიტად აკურთხა ლონდონში. კურთხევას დაესწრო იქაური მაღალი საზოგადოება.

Arpajon — Imprimerie de *La Gazette de Seine-et-Oise*. Le Gérant : A. LARGILLIÈRE.